დანართი No. 3

NATIONAL CENTER FOR
EDUCATIONAL QUALITY
ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის ფარგლებში განხორციელებული
და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებისთვის

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, განათლების საფეხური

საექთნო საქმე, ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დასახელება

შპს უნივერსიტეტი გეომედი

შეფასების თარიღ(ებ)ი
29-30 ივლისი, 2026

დასკვნის წარდგენის თარიღი
25 აგვისტო, 2026

თბილისი

სარჩევი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ....4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა....5

III. პროგრამების სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი....14

IV. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან 17

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა....17

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 27

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა....43

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 46

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები....56

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ [1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს უნივერსიტეტი გეომედი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204909858
დაწესებულების ტიპი	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	შადი ჰამური, ალ-ბალკას გამოყენებითი უნივერსიტეტი, იორდანია
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	თამარ ვალიშვილი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	თამარ გოდერიძე, საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	გულნაზი მაღრაძე, ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო

[1] ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: გთხოვთ, მიუთითოთ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც ახორციელებენ აღნიშნულ პროგრამას. საიდენტიფიკაციო კოდისა და დაწესებულების ტიპის მითითება სავალდებულო არ არის, თუ უსდ აღიარებულია უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ქართულად)	საექთნო საქმე
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ინგლისურად)	Nursing
უმაღლესი განათლების საფეხური/პროგრამა	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	საექთნო საქმის ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0913 საექთნო და სამეანო საქმე
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება[3]	
სწავლების ენა	ინგლისური
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი
პროგრამაზე დაშვების დამატებითი მოთხოვნები (სამხატვრო- შემოქმედებითი და/ან სპორტული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, შემოქმედებითი ტურის/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაში დაშვების/პროგრამის განხორციელების სპეციფიკური მოთხოვნები.)	
დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, უსდ-ის მიერ სტუდენტების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა	

[2]თუ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად და მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება განსხვავდება, იგი მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულების მიხედვით.

[3](მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**
  - **უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება:** შპს უნივერსიტეტი გეომედი
  - **საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება**: საექთნო საქმის საბაკალავრო პროგრამა
  - **უმაღლესი განათლების საფეხური:** ბაკალავრიატი
  - **ECTS კრედიტების რაოდენობა:** 240 ECTS კრედიტი
  - **სწავლების ენა:** ინგლისური

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**
  - ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა სიმულაციისა და პრაქტიკული სწავლების ობიექტები, აგრეთვე, ბიოქიმიის, მიკრობიოლოგიის, ანატომია-ჰისტოლოგიისა და პათოლოგიის ლაბორატორიები.
  - ექსპერტთა ჯგუფმა ჩაატარა ინტერვიუები რექტორთან, ვიცე-რექტორებთან, დეკანთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, კლინიკური დაწესებულებების წარმომადგენლებთან, ხარისხის უზრუნველყოფის წარმომადგენლებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და მედიცინის ფაკულტეტის უცხოენოვან სტუდენტებთან.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა:**

  - **სტანდარტი 1 - (საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები):** პროგრამა შეესაბამება სტანდარტის ყველა კომპონენტის (1.1, 1.2, 1.3,1.4 და 1.5) მოთხოვნებს.
  - **სტანდარტი 2 (სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება...):** პროგრამა ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის ყველა კომპონენტის(2.1, 2.2, 2.3 და 2.4) მოთხოვნებს.
  - **სტანდარტი 3 (სტუდენტთა მიღწევები):** პროგრამა შეესაბამება 3.1 სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებს.
  - **სტანდარტი 4 (სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა):** პროგრამა ნაწილობრივ შეესაბამება 4.1(ადამიანური რესურსები) და 4.5 (პროგრამის ბიუჯეტი) კომპონენტებს, ხოლო მეტწილად შეესაბამება 4.3 (პროფესიული განვითარება) და 4.4 (მატერიალური რესურსები) კომპონენტებს.
  - **სტანდარტი 5 (სწავლების ხარისხის გაუმჯობესება):** პროგრამა მეტწილად შეესაბამება 5.1 (შიდა ხარისხის შეფასება) კომპონენტს და შეესაბამება 5.2 (გარე ხარისხის შეფასება) და 5.3 (პროგრამის მონიტორინგი) სტანდარტებს.

- **რეკომენდაციები:**
  - რეკომენდებული, უნივერსიტეტმა სტუდენტთა და პერსონალის კონტინგენტის დაგეგმვის დამტკიცებული მეთოდოლოგია კონკრეტულად საექთნო საქმის საბაკალავრო საგანმანათლებლოს პროგრამის მიმართ გამოიყენოს და ოფიციალურად წარმოადგინოს, თუ როგორ განისაზღვრება დაგეგმილი სტუდენტთა წლიური მიღების რაოდენობა არსებული აკადემიური და საექთნო პერსონალის, კლინიკური პრაქტიკის გავლის შესაძლებლობების, სიმულაციური ინფრასტრუქტურის,

მატერიალური რესურსებისა და პროგრამის სხვა სპეციფიკური მოთხოვნების გათვალისწინებით.

- რეკომენდებულია, სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიით განისაზღვროს, როგორ დგინდება სტუდენტთა მისაღები რაოდენობა არსებული აკადემიური პერსონალის, კლინიკური პრაქტიკის გავლის შესაძლებლობების, სიმულაციის სივრცეების, მატერიალური რესურსებისა და ინსტიტუციის სხვა შესაძლებლობების გათვალისწინებით და მკაფიოდ დასაბუთდეს ქართველი და საერთაშორისო სტუდენტების თანაფარდობა ინგლისურენოვანი პროგრამისთვის.
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გადახედოს და ოფიციალურად აღრიცხოს საექთნო საქმის საბაკალავრო პროგრამის პრაქტიკული და კლინიკური კომპონენტი, რათა უზრუნველყოს და დაადასტუროს ჯანდაცვის რეალურ გარემოში, ზედამხედველობის ქვეშ, არანაკლებ 2 300 საათის კლინიკური სწავლება, საექთნო საქმის დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად. რეკომენდებულია, განახლებულ დოკუმენტაციაში მკაფიოდ გაიმიჯნოს თეორიული სწავლება, აუდიტორიაში ჩატარებული სემინარები, სიმულაცია და უნარების ლაბორატორიაში განხორციელებული აქტივობები ზედამხედველობის ქვეშ პაციენტთა უშუალო მოვლის საათებისგან, ხოლო კლინიკური სწავლების საათები დაანგარიშდეს თითოეული სასწავლო კურსისა და კონკრეტული კლინიკური დაწესებულების მიხედვით.
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს და ოფიციალურად დაამტკიცოს პროგრამაზე მორგებული ჩარჩო - კლინიკური პრაქტიკის ორგანიზების, ზედამხედველობისა და შეფასებისთვის. რეკომენდებულია, ამ ჩარჩოთი განისაზღვროს აკადემიური პერსონალის, კლინიკური კოორდინატორების, კვალიფიციური საექთნო მიმართულების პედაგოგებისა და კლინიკური მენტორი ექთნის პასუხისმგებლობები; სტუდენტებისა და ზედამხედველების თანაფარდობა; აუცილებელი საექთნო პროცედურები და კლინიკური აქტივობები; დასწრებისა და გაცდენილი პრაქტიკის აღდგენის მოთხოვნები; აგრეთვე, საექთნო კომპეტენციების მიღწევის დადასტურების მექანიზმები.
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე, საექთნო მიმართულების პერსონალის სისტემატური ჩართვა საექთნო სფეროს სპეციფიკური კომპეტენციების სწავლებაში, ზედამხედველობასა და შეფასებაში, მათ შორის საექთნო შეფასების, საექთნო დიაგნოზის, მოვლის დაგეგმვის, საექთნო ჩარევების, საექთნო დოკუმენტაციის, პაციენტის განათლების, მოვლის უწყვეტობისა და პროფესიული საექთნო ავტონომიის მიმართულებით.
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს საექთნო საქმის დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული სწავლებისა და სწავლის მინიმალური მეთოდების თანმიმდევრული გამოყენება, განსაკუთრებით სტრუქტურირებული CBL-ის, ექთანი–პაციენტის როლური თამაშის, სიმულაციაზე დაფუძნებული სწავლებისა და პაციენტის საწოლთან სწავლების მიმართულებით. რეკომენდებულია, შესაბამის სილაბუსებში მკაფიოდ განისაზღვროს თითოეულ მეთოდთან დაკავშირებული სწავლის შედეგები, სტუდენტთა აქტივობები, კლინიკური ან სიმულაციური გარემო, ფასილიტატორის პასუხისმგებლობები და მოსალოდნელი შედეგები.

- რეკომენდებულია, პროგრამულ დონეზე, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს და დანერგოს მეთოდოლოგიური ჩარჩო PBL-ის, CBL-ის, TBL-ის, CBCR-ის, შებრუნებული საკლასო ოთახის, სიმულაციის, როლური თამაშისა და პაციენტის საწოლთან სწავლებისათვის. რეკომენდებულია, ჩარჩომ განსაზღვროს თითოეული მეთოდის არსებითი ელემენტები და უზრუნველყოს სახელმძღვანელო მითითებები შესაბამისი სასწავლო კურსის ფარგლებში მათი დაგეგმვისა და განხორციელებისთვის.
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გააერთიანოს, ოფიციალურად განსაზღვროს და დანერგოს საექთნო საქმის საგანმანათლებლო პროგრამისთვის განკუთვნილი ყოვლისმომცველი OSCE/OSPE-ის ჩარჩო, რომელიც მოიცავს გამოცდის სტრუქტურას, საექთნო საქმის სპეციფიკურ სადგურების სცენარებს, შეფასების სტანდარტიზებულ რუბრიკებს/ჩეკლისტებს, სტუდენტებისა და გამომცდელებისთვის განკუთვნილ ინსტრუქციებს, ადმინისტრირების პროცედურებს და გამომცდელთა მომზადებას ერთიანი სტანდარტის შესაბამისად.
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს, რომ გასაჩივრების პროცედურა ოფიციალურად განასხვავებდეს ტექნიკურ გადამოწმებას შინაარსობრივი გადაფასებისგან და ითვალისწინებდეს, რომ სადავო შეფასების შინაარსობრივი გადახედვა განხორციელდეს დამოუკიდებელი შემფასებლის ან ორგანოს მიერ, რომელიც არ არის პასუხისმგებელი თავდაპირველ შეფასებაზე.
- რეკომენდებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს თეორიულ, ლაბორატორიულ და კლინიკურ სწავლებაში ჩართული პერსონალის პროფესიული განვითარება არა მხოლოდ სწავლებისა და შეფასების მეთოდების მიმართულებით, არამედ საექთნო პროცესის, საექთნო შეფასების, კლინიკური მსჯელობის, საექთნო დიაგნოზებისა და საექთნო მზრუნველობის გეგმების შემუშავების მიმართულებითაც და უზრუნველყოს ასეთი ტრენინგების სათანადო დოკუმენტირება.
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა სისტემატურად უზრუნველყოს, მონიტორინგი გაუწიოს და დოკუმენტურად აღრიცხოს პროგრამაში ჩართული პერსონალის პროფესიული განვითარება საექთნო საქმის მიმართულებით- მათ შორის საექთნო პროცესის, საექთნო შეფასების, კლინიკური მსჯელობის, საექთნო დიაგნოზებისა და მოვლის დაგეგმვის მიმართულებით მომზადება; განსაკუთრებით იმ პერსონალის შემთხვევაში, რომლის ძირითადი პროფესიული მიმართულება მედიცინაა. რეკომენდებულია, პროგრამის თეორიულ და კლინიკურ განხორციელებაში სათანადოდ ჩართული იყოს შესაბამისი კვალიფიკაციისა და კომპეტენციის მქონე საექთნო საქმის პროფესიონალთა საკმარისი რაოდენობა.
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა დაადასტუროს, რომ პარტნიორი კლინიკური დაწესებულებების შესაძლებლობები, მათ შორის ხელმისაწვდომი განყოფილებები, სტუდენტებისთვის განსაზღვრული ადგილები და განრიგის დაგეგმვის პირობები, საკმარისია სტუდენტთა დაგეგმილი კონტიგენტისთვის და რომ ყველა სტუდენტს ექნება შესაძლებლობა გააროს სავალდებულო კლინიკური მომზადება.

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა სრულყოფილად დანერგოს OSCE/OSPE-ის ინფრასტრუქტურა და საოპერაციო მექანიზმები, მათ შორის უზრუნველყოს საგამოცდო სადგურები, აღჭურვილობა, ადმინისტრირება და ზედამხედველობა.
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა მკაფიოდ განსაზღვროს ექიმებისა და ექთნების როლები და პასუხისმგებლობები კლინიკურ სწავლებასა და შეფასებაში და უზრუნველყოს კვალიფიციური საექთნო პერსონალის სათანადო ჩართულობა საექთნო კომპეტენციების შეფასებაში.
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა საექთნო საქმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის გამოყოფილი ფინანსური რესურსები მკაფიოდ ასახოს და დაასაბუთოს პროგრამის, ფაკულტეტის ან ინსტიტუციური ფინანსური დაგეგმვის ფარგლებში და ოფიციალურად წარმოადგინოს მტკიცებულება, რომ აღნიშნული რესურსები ადეკვატურად ფარავს პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო როგორც განმეორებად, ისე ერთჯერად ხარჯებს, მათ შორის პერსონალის, კლინიკური სწავლების, სიმულაციური სწავლების, ლაბორატორიების, აღჭურვილობის, შეფასებისა და პერსონალის განვითარების ხარჯებს.
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა ოფიციალურად დაასაბუთოს, დოკუმენტურად ასახოს საექთნო საქმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის ხელმისაწვდომი ფინანსური მხარდაჭერის წყაროები და მექანიზმები, მათ შორის განმეორებადი და ერთჯერადი ფინანსური მხარდაჭერა. იმ შემთხვევაში, თუ გათვალისწინებულია ფაკულტეტის ან უნივერსიტეტის სხვა ინსტიტუციური რესურსებიდან პროგრამის ჯვარედინი სუბსიდირება, შესაბამისი წყარო და აღნიშნული მხარდაჭერის საფუძველი მკაფიოდ უნდა აისახოს ფინანსური დაგეგმვის დოკუმენტაციაში.
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გააძლიეროს პროგრამისა და სასწავლო კურსების დოკუმენტაციის შიდა განხილვის პროცესი, რათა უზრუნველყოს მკაფიო შესაბამისობა სწავლების მეთოდებს, შეფასების მეთოდებსა და სწავლის შედეგებს შორის.
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს დამსაქმებლებისა და სხვა შესაბამისი დაინტერესებული მხარეების სისტემატური და დოკუმენტირებული ჩართულობა პროგრამის შეფასებასა და განვითარებაში, მათ შორის წარმოადგინოს მტკიცებულება, თუ როგორ გამოიყენება მათი უკუკავშირი პროგრამასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას.
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა სისტემატურად აღრიცხოს გამოვლენილი ხარვეზები, გაუმჯობესების ღონისძიებები და შემდგომი მონიტორინგის შედეგები PDCA ციკლის ფარგლებში, რათა დადასტურდეს პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის ეფექტიანობა.

- **რჩევები:**
  - სასურველია, პროგრამის დაწყებამდე, განხორციელდეს კლინიკური შემფასებლების წინასწარი შემოწმება. რადგან პროგრამა მნიშვნელოვნად ეყრდნობა პირდაპირ,

დაკვირვებით შეფასების მეთოდებს, როგორიცაა ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა (OSCE), DOPS (პროცედურული უნარების პირდაპირი დაკვირვება) და Mini-CEX, შეფასება შესაძლებელია ძალიან სუბიექტური გახდეს. სასურველია, პირველი სემესტრის დაწყებამდე, პროგრამის ყველა - 21 აკადემიური და 24 მოწვეული კლინიკური პერსონალისთვის, შემფასებლის სანდოობის სავალდებული ვორქშოფების ჩატარება. იმიტირებული სტუდენტური სცენარების გამოყენებით, შემფასებლების შეფასება უზრუნველყოფს ყველა თანამშრომლის მიერ 100-ქულიანი შეფასების რუბრიკებისა და კლინიკური კომპეტენციის ზღვრების თანმიმდევრულ და ერთგვაროვან ინტერპრეტაციას.

- სასურველია, პროგრამის დოკუმენტაციაში უფრო მკაფიოდ აღიწეროს ის ელემენტები, რომლებიც განსაზღვრავს პროგრამის უნიკალურობას, რაც მოიცავს ინგლისურენოვან სწავლებას, სიმულაციისა და კლინიკური სწავლების ინტეგრაციას, მტკიცებულებებზე დაფუძნებულ საექთნო საქმეს და კვლევის კომპონენტებს.
- მიუხედავად შეფასების მეთოდების მრავალფეროვნებისა , სასურველია, თითოეული დავალება (მაგ., კონკრეტული DOPS შეფასება ან კონკრეტული ესეს დავალება) უშუალოდ დაუკავშირდეს შესაბამისი სასწავლო კურსის სწავლის შედეგს სილაბუსში. ამჟამად, სილაბუსებში სწავლის შედეგები ჩამოთვლილია, ხოლო შეფასების მეთოდები ცალკეა წარმოდგენილი. თითოეულ სილაბუსში პირდაპირი მატრიცის შექმნა, რომელიც ზუსტად აჩვენებს თუ სწავლის რომელ კონკრეტულ შედეგს რომელი ინსტრუმენტი აფასებს, კიდევ უფრო გაზრდის გამჭვირვალობას და უზრუნველყოფს, რომ არც ერთი სწავლის შედეგი არ დარჩეს შეუფასებელი.
- სასურველია, გადაიხედოს „ადამიანის ფიზიოლოგიის“ სასწავლო კურსის შინაარსი და ძირითადი სასწავლო მასალები, რათა უზრუნველყოთ მათი შესაბამისობა საექთნო საქმის საბაკალავრო პროგრამის დონესა და პროფესიულ სპეციფიკასთან; სათანადო აქცენტი უნდა გაკეთდეს საექთნო პრაქტიკისა და პაციენტის მონიტორინგისთვის რელევანტურ ფიზიოლოგიურ პროცესებზე.
- სასურველია, საექთნო საქმის სტუდენტების კვლევით საქმიანობაში მონაწილეობის მიზნით, პროგრამულ დონეზე, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს გეგმა, რომელიც მოიცავს სამომავლო კვლევით პროექტებს, ხელმძღვანელებს, სტუდენტთა კვლევით დავალებებს, კონფერენციებში მონაწილეობასა და კვლევის შედეგების გავრცელების შესაძლებლობებს.
- სასურველია, კვლევითი და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკის უნარები ეტაპობრივად განმტკიცდეს, შემდგომ კლინიკურ სასწავლო კურსებში შესაბამისი საექთნო კვლევების, სამეცნიერო ლიტერატურის შეფასების ან მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკის აქტივობების მეშვეობით.
- სასურველია, პროგრამამ სტუდენტებისთვის შექმნას შესაძლებლობები, რომ მათ სიმულაციისა და/ან ზედამხედველობის ქვეშ განხორციელებული კლინიკური პრაქტიკის დროს, ეტაპობრივად განივითარონ და გამოავლინონ საექთნო ლიდერობის, კოორდინაციისა და დელეგირების უნარები.
- სასურველია, პროგრამამ უზრუნველყოს ელექტრონული სამედიცინო ჩანაწერების გამოყენების პრაქტიკული სწავლება შესაბამის საგანმანათლებლო, სიმულაციურ ან ზედამხედველობის ქვეშ განხორციელებულ კლინიკურ გარემოში, საექთნო საქმის დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად.

- სასურველია, პროგრამის გუნდმა გადახედოს სილაბუსებს, რათა უფრო მკაფიოდ გაიმიჯნოს სწავლების ისეთი ფორმატები, როგორიცაა ლექციები, სემინარები, ლაბორატორიული მეცადინეობები და კლინიკური პრაქტიკა, სწავლების ისეთი მეთოდებისგან, როგორიცაა CBL, PBL, TBL, სიმულაცია, როლური თამაში და პაციენტის საწოლთან სწავლება.
- სასურველია, პროგრამის ფარგლებში შემუშავდეს საექთნო საქმეზე ორიენტირებული შემთხვევების, კლინიკური სცენარების, ფასილიტატორის სახელმძღვანელოებისა და სტუდენტთა ინსტრუქციების ერთიანი ბაზა, რათა ხელი შეეწყოს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მეთოდების თანმიმდევრულ განხორციელებას.
- სასურველია, უნივერსიტეტმა ეტაპობრივად განაახლოს ბიოქიმიის, მიკრობიოლოგიის, ანატომია-ჰისტოლოგიისა და პათოლოგიის ლაბორატორიები და არსებული აღჭურვილობა, სტუდენტთა სამუშაო სივრცეები, მასალები და ჯგუფების მოცულობა შეუსაბამოს დაგეგმილ ლაბორატორიულ აქტივობებსა და საექთნო საქმის დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებს.
- სასურველია, პროგრამამ უფრო მკაფიოდ განსაზღვროს, თუ როგორ ხდება სწავლების მეთოდების ადაპტირება საერთაშორისო სტუდენტებისა და დამატებითი საჭიროების მქონე სტუდენტების კულტურულ, ენობრივ და აკადემიურ საჭიროებებთან.
- სასურველია, პროგრამის გუნდმა სასწავლო გეგმის ფარგლებში გამოყენებული სწავლებისა და სწავლის მეთოდები მკაფიოდ დაუკავშიროს პროგრამის იმ მიზნებს, რომლებიც დაკავშირებულია კლინიკურ მსჯელობასთან, მტკიცებულებებზე დაფუძნებულ პრაქტიკასთან, ავტონომიასთან, ლიდერობასა და კულტურული თავისებურებების გათვალისწინებით, საექთნო ზრუნვასთან.
- სასურველია, უნივერსიტეტმა, პროგრამის დაწყებისთანავე, უზრუნველყოს საექთნო საქმის სტუდენტების სისტემატური ინფორმირება აკადემიური კეთილსინდისიერების, პლაგიატის პრევენციის მექანიზმებისა და Copyleaks-ის პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენების შესახებ.
- სასურველია, პროგრამამ განსაზღვროს შეფასების ის ძირითადი ეტაპები, რომლითაც, პროგრამის დასრულებამდე, ფორმალურად მოწმდება პროგრამის სწავლის შედეგები, რომლებიც დაკავშირებულია კლინიკურ მსჯელობასთან, ავტონომიასთან, პროფესიონალიზმთან, ლიდერობასა და პაციენტზე ორიენტირებულ ზრუნვასთან.
- სასურველია, პაციენტისა და ოჯახის ინფორმირების კომპეტენციების შეფასება ითვალისწინებდეს შესრულებაზე ან სამუშაო ადგილზე დაფუძნებულ პირდაპირ შეფასებას, შესაბამის სიმულაციურ ან კლინიკურ გარემოში.
- სასურველია, გაფართოვდეს პარტნიორობა ევროპულ უნივერსიტეტებთან და კლინიკურ დაწესებულებებთან (განსაკუთრებით, მედიცინისა და საექთნო საქმის მიმართულებებით) და, ამავდროულად, გაძლიერდეს სტუდენტთა ინფორმირება და კონსულტირება საერთაშორისო საგრანტო და გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობებთან დაკავშირებით.
- სასურველია, პროგრამამ დანერგოს კლინიკური პერსონალის შესაძლებლობების რეგულარული შეფასება სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობის, კლინიკური სწავლების საათებისა და კლინიკური პრაქტიკის გავლის მოთხოვნებთან მიმართებით და შეფასების შედეგები გაითვალისწინოს პროგრამის ყოველწლიურ დაგეგმვაში.

- სასურველია, უნივერსიტეტმა კიდევ უფრო გააძლიეროს პერსონალის პროფესიული განვითარების საერთაშორისო კომპონენტი - საექთნო განათლების საერთაშორისო ქსელებში, ტრენინგებსა და გამოცდილების გაზიარების ღონისძიებებში მონაწილეობით.
- სასურველია, სამომავლო გარე შეფასებები და ექსპერტთა რეკომენდაციები სისტემატურად აღირიცხოს განხორციელებულ ღონისძიებებთან, პასუხისმგებელ ერთეულებთან და შემდგომი მონიტორინგის შედეგებთან ერთად, რითაც გაძლიერდება გარე ხარისხის უზრუნველყოფის გაუმჯობესების ციკლის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებები.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[4]**

კონკრეტული საუკეთესო პრაქტიკა არ გამოვლენილა, რადგან პროგრამა ჯერ არ ამოქმედებულა.

- **ინფორმაცია უსდ-ს არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების თაობაზე**

დასკვნა ჩამოყალიბდა უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის გათვალისწინებით. ზოგიერთი რეკომენდაცია შეიცვალა, თუმცა აღნიშნულ ცვლილებებს შესაბამისობის დონეზე გავლენა არ მოუხდენია. შესწორებული რეკომენდაციებია:

- რეკომენდებული, უნივერსიტეტმა სტუდენტთა და პერსონალის კონტინგენტის დაგეგმვის დამტკიცებული მეთოდოლოგია კონკრეტულად საექთნო საქმის საბაკალავრო საგანმანათლებლოს პროგრამის მიმართ გამოიყენოს და ოფიციალურად წარმოადგინოს, თუ როგორ განისაზღვრება დაგეგმილი სტუდენტთა წლიური მიღების რაოდენობა არსებული აკადემიური და საექთნო პერსონალის, კლინიკური პრაქტიკის გავლის შესაძლებლობების, სიმულაციური ინფრასტრუქტურის, მატერიალური რესურსებისა და პროგრამის სხვა სპეციფიკური მოთხოვნების გათვალისწინებით.
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გააერთიანოს, ოფიციალურად განსაზღვროს და დანერგოს საექთნო საქმის საგანმანათლებლო პროგრამისთვის განკუთვნილი ყოვლისმომცველი OSCE/OSPE-ის ჩარჩო, რომელიც მოიცავს გამოცდის სტრუქტურას, საექთნო საქმის სპეციფიკურ სადგურების სცენარებს, შეფასების სტანდარტიზებულ რუბრიკებს/ჩეკლისტებს, სტუდენტებისა და გამომცდელებისთვის განკუთვნილ ინსტრუქციებს, ადმინისტრირების პროცედურებს და გამომცდელთა მომზადებას ერთიანი სტანდარტის შესაბამისად.

[4]პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის/პროგრამებისთვის

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს, რომ გასაჩივრების პროცედურა ოფიციალურად განასხვავებდეს ტექნიკურ გადამოწმებას შინაარსობრივი გადაფასებისგან და ითვალისწინებდეს, რომ სადავო შეფასების შინაარსობრივი გადახედვა განხორციელდეს დამოუკიდებელი შემფასებლის ან ორგანოს მიერ, რომელიც არ არის პასუხისმგებელი თავდაპირველ შეფასებაზე.

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა საექთნო საქმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის გამოყოფილი ფინანსური რესურსები მკაფიოდ ასახოს და დაასაბუთოს პროგრამის, ფაკულტეტის ან ინსტიტუციური ფინანსური დაგეგმვის ფარგლებში და ოფიციალურად წარმოადგინოს მტკიცებულება, რომ აღნიშნული რესურსები ადეკვატურად ფარავს პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო როგორც განმეორებად, ისე ერთჯერად ხარჯებს, მათ შორის პერსონალის, კლინიკური სწავლების, სიმულაციური სწავლების, ლაბორატორიების, აღჭურვილობის, შეფასებისა და პერსონალის განვითარების ხარჯებს.
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა ოფიციალურად დაასაბუთოს, დოკუმენტურად ასახოს საექთნო საქმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის ხელმისაწვდომი ფინანსური მხარდაჭერის წყაროები და მექანიზმები, მათ შორის განმეორებადი და ერთჯერადი ფინანსური მხარდაჭერა. იმ შემთხვევაში, თუ გათვალისწინებულია ფაკულტეტის ან უნივერსიტეტის სხვა ინსტიტუციური რესურსებიდან პროგრამის ჯვარედინი სუბსიდირება, შესაბამისი წყარო და აღნიშნული მხარდაჭერის საფუძველი მკაფიოდ უნდა აისახოს ფინანსური დაგეგმვის დოკუმენტაციაში.

- **საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად:**

შპს „უნივერსიტეტი გეომედის“ საექთნო საქმის საბაკალავრო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს, რომლებიც განაწილებულია ოთხ სასწავლო წელსა და რვა სემესტრზე, რაც სტუდენტის საერთო დატვირთვის 6 000 საათს შეესაბამება. აღნიშნული სასწავლო გეგმის ფარგლებში, 130 ECTS კრედიტი კლასიფიცირებულია სავალდებულო კლინიკურ სასწავლო კურსებად, ხოლო 7 ECTS კრედიტი გამოყოფილია სავალდებულო სამეცნიერო უნარების სასწავლო კურსებისთვის. თუმცა, იდენტიფიცირებადი პრაქტიკული და კლინიკური კომპონენტი დაახლოებით 1 560 საათს შეადგენს, რაც არსებითად არ შეესაბამება საექთნო საქმის დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული კლინიკური სწავლების სავალდებულო მინიმუმს — 2 300 საათს. სტუდენტთა ჩარიცხვისა და მობილობის თვალსაზრისით, უნივერსიტეტი გეგმავს პროგრამაზე ყოველწლიურად დაახლოებით 20 სტუდენტის მიღებას. ბოლო სამი წლის განმავლობაში, მედიცინის ფაკულტეტის მონაცემები მიუთითებს საერთაშორისო მობილობის დაბალ მაჩვენებელზე — ასეთ გაცვლით პროგრამებში მონაწილეობდა მხოლოდ 10 სტუდენტი.

პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსი მოიცავს 22 აფილირებულ აკადემიურ პერსონალსა და 25 მოწვეულ ლექტორს. აფილირებული აკადემიური პერსონალი შედგება 5 პროფესორის, 10 ასოცირებული პროფესორის, 4 ასისტენტ-პროფესორისა და 3 ასისტენტისგან, ხოლო პროგრამას დამატებით უზრუნველყოფს 23 მოწვეული პერსონალი და 5 სამეცნიერო პერსონალი. ფინანსური თვალსაზრისით, მედიცინის ფაკულტეტის 2026 წლის ბიუჯეტი სწავლის საფასურიდან მიღებულ 12 630 297 ლარის შემოსავალს ითვალისწინებს, დაგეგმილი ხარჯები კი 11 114 661 ლარს შეადგენს. აღნიშნული ბიუჯეტი ასევე ითვალისწინებს 1 515 636 ლარის ოდენობის დაგეგმილ დანაზოგსა და ფინანსურ რეზერვებს. და ბოლოს, პროგრამა სტუდენტთა მოსწრებას ყოვლისმომცველი 100-ქულიანი შეფასების სისტემით აფასებს. ამგვარი განაწილების მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ „ადამიანის ფიზიოლოგიის“ სასწავლო კურსი, სადაც საბოლოო გამოცდაზე 40 ქულაა გათვალისწინებული, ხოლო დარჩენილი 60 ქულა განაწილებულია სხვადასხვა შუალედური თეორიული და პრაქტიკული შეფასების კომპონენტებს შორის.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, აკრედიტაციის პერიოდში მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოკლე მიმოხილვა, ასევე, წინა აკრედიტაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების ანალიზი.**

III. პროგრამების სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შეფასება
1.	**საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**	**შესაბამისობაშია**
1.1	პროგრამის მიზნები	შესაბამისობაშია
1.2	პროგრამის სწავლის შედეგები	შესაბამისობაშია
1.3	პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	შესაბამისობაშია
1.4	საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	შესაბამისობაშია
1.5	სასწავლო კურსი/საგანი	შესაბამისობაშია
2.	**სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**	**ნაწილობრივ**
2.1	პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	ნაწილობრივ შესაბამისობაშია
2.2	პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	ნაწილობრივ შესაბამისობაშია
2.3	სწავლება-სწავლის მეთოდები	ნაწილობრივ შესაბამისობაშია
2.4	სტუდენტის შეფასება	ნაწილობრივ შესაბამისობაშია
3.	**სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა**	**შესაბამისობაშია**
3.1	სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	შესაბამისობაშია
3.2	მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა	აირჩიეთ შესაბამისი
4	**სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია**
4.1	ადამიანური რესურსები	ნაწილობრივ შესაბამისობაშია
4.2	მაგისტრანტების ხელმძღვანელების კვალიფიკაცია	აირჩიეთ შესაბამისი
4.3	აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	მეტწილად შესაბამისობაშია

4.4	მატერიალური რესურსი	მეტწილად შესაბამისობაშია
4.5	პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	ნაწილობრივ შესაბამისობაშია
5	**სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები**	**შესაბამისობაშია**
5.1	შიდა ხარისხის შეფასება	მეტწილად შესაბამისობაშია
5.2	გარე ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია
5.3	პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	შესაბამისობაშია

სახელმძღვანელო პრინციპები და სტანდარტები (იხ. ბმული)

[უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები]

[უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელო]

[რჩევები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შეფასების შესახებ]

[შეფასების კრიტერიუმები]

განმარტებები:

რეკომენდაციები - წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები - არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

IV. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საექთნო საქმის საბაკალავრო პროგრამის მიზნები მკაფიოდ არის განსაზღვრული და შეესაბამება დარგს, საბაკალავრო საგანმანათლებლო საფეხურსა და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. აღნიშნული მიზნები ხაზს უსვამს საექთნო საქმის ცოდნას, კლინიკურ მსჯელობას, მტკიცებულებებზე დაფუძნებულ პრაქტიკასა და პროფესიულ კომპეტენციებს, მათ შორის, ეთიკურ პასუხისმგებლობას, კომუნიკაციასა და ლიდერობას. ჯანმრთელობის ხელშეწყობის, დაავადებების პრევენციის, რეაბილიტაციისა და პაციენტზე ზრუნვის საკითხებზე ფოკუსირებით, პროგრამის მიზნები ზუსტად ასახავს საექთნო პროფესიის უფრო ფართო წვლილს ჯანდაცვისა და საზოგადოების განვითარებაში.
გარდა ამისა, მიზნები ფართოდ შეესაბამება საექთნო საქმის დარგობრივ მახასიათებელს, რომელიც საექთნო საქმიანობას როგორც ავტონომიურ, ისე კოლაბორაციულ პროფესიულ საქმიანობად განიხილავს. დარგობრივი მახასიათებელი ხაზს უსვამს პაციენტის ინტერესების დაცვას, კვლევით საქმიანობას, ჯანდაცვის მართვასა და კადრების დეფიციტის დაძლევის მნიშვნელობას, პაციენტზე ზრუნვის საერთო ხარისხის გასაუმჯობესებლად. პროგრამის მიზნები ასევე შეესაბამება დაწესებულების საგანმანათლებლო პროფილს და ოფიციალურად არის დამტკიცებული უნივერსიტეტში დადგენილი პროცედურების შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა სათანადო მომზადებას როგორც კლინიკური პრაქტიკისთვის, ისე სწავლის შემდგომ საფეხურზე გასაგრძელებლად.
თუმცა, დასაბუთებას საჭიროებს პროგრამის შესაბამისობა შრომის ბაზრის საჭიროებებთან. აღნიშნული შესაბამისობის დამადასტურებელი მტკიცებულებები უნდა ითვალისწინებდეს შრომის ბაზრის ანალიზის დოკუმენტებს, დამსაქმებლებთან კონსულტაციებს ან დაინტერესებული მხარეებისგან მიღებულ სხვა დოკუმენტირებულ უკუკავშირს და არა მხოლოდ მითითებას საექთნო პერსონალის ზოგადი დეფიციტის შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საექთნო საქმის საბაკალავრო პროგრამა
- სასწავლო გეგმის შინაარსი და რუკები
- სილაბუსები
- საექთნო საქმის დარგობრივი მახასიათებელი
- ინტერვიუები
- ადგილზე ვიზიტი

რეკომენდაციები

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.1 პროგრამის მიზნები	შესაბამისობაშია

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დაგეგმილი სწავლის შედეგები ლოგიკურად არის სტრუქტურირებული ცოდნისა და გაცნობიერების, უნარების, პასუხისმგებლობისა და ავტონომიის სფეროების მიხედვით. ისინი სრულად მოიცავს შესაბამის ბიოსამედიცინო, კლინიკურ, ქცევით და სოციალურ მეცნიერებებს და ამავდროულად, ითვალისწინებს საექთნო საქმის არსებით კომპეტენციებს,

როგორიცაა კლინიკური გადაწყვეტილებების მიღება, პაციენტის შეფასება, ეთიკური ქცევა, მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკა და ლიდერობა. გაზომვადი მოქმედებითი ზმნებით ფორმულირებული აღნიშნული შედეგები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს (NQF) მე-6 დონეს და მჭიდროდ არის თანხვედრაში საექთნო საქმის დარგობრივ მახასიათებელთან, რომელიც საექთნო საქმის საბაკალავრო დონეს განსაზღვრავს.

პროგრამა იყენებს სასწავლო გეგმის რუკებს, რათა წარმოაჩინოს მკაფიო კავშირი აღნიშნულ შედეგებსა და ცალკეულ სასწავლო კურსებს შორის. შეინიშნება ლოგიკური აკადემიური პროგრესია: სწავლების ადრეულ სემესტრებში საბაზისო ბიოსამედიცინო და საექთნო კომპეტენციებიდან პროგრამა ეტაპობრივად გადადის სპეციალიზებული ცოდნისა და პროფესიული ავტონომიის განვითარებაზე. აღნიშნული შედეგების გასაზომად პროგრამა გეგმავს შეფასების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებას, მათ შორის, წერით და ზეპირ გამოცდებს, OSCE-ს, OSPE-ს, DOPS-ს, WPBA-ს, Mini-CEX-სა და კლინიკური საქმიანობის აღრიცხვის ჟურნალებს. (შენიშვნა: აღნიშნული მეთოდების ადეკვატურობა და განხორციელებისთვის მზადყოფნა გაანალიზებულია 2.4 კომპონენტის ფარგლებში). გარდა ამისა, მიუხედავად იმისა, რომ დარგობრივი მახასიათებელი მოითხოვს კლინიკური სწავლების არანაკლებ 2 300 საათს, აღნიშნული საათების განაწილება ფასდება პროგრამის სტრუქტურასთან დაკავშირებული ცალკეული კომპონენტების ფარგლებში და, შესაბამისად, ამ ნაწილში შესაბამისობა დადასტურებული არ არის.

პროგრამის შემუშავების პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართული აკადემიური პერსონალი და შესაბამისი გარე დაინტერესებული მხარეები. ვინაიდან პროგრამა ჯერ არ განხორციელებულა, ჩარიცხული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისგან მიღებული მტკიცებულებები ამ ეტაპზე ხელმისაწვდომი არ არის. პროგრამის განხორციელების შემდგომ ეტაპზე, დაინტერესებული მხარეების უწყვეტი ჩართულობა არსებითი მნიშვნელობის იქნება სწავლის შედეგების გადახედვისა და დახვეწისთვის. საერთო ჯამში, დაგეგმილი სწავლის შედეგები მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული, გაზომვადია და სრულად შეესაბამება როგორც მისანიჭებელ კვალიფიკაციას, ისე დადგენილ პროფესიულ დარგობრივ მახასიათებლებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საექთნო საქმის საბაკალავრო პროგრამა
- სასწავლო გეგმის შინაარსი და რუკები
- სილაბუსები
- საექთნო საქმის დარგობრივი მახასიათებელი
- ინტერვიუები
- ადგილზე ვიზიტი;

[რეკომენდაციები](#).

- არ არის მითითებული

[რჩევები პროგრამების განვითარებისთვის]

- არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	შესაბამისობაშია

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები; პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ციკლი შედგება სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემების განსაზღვრისგან, შეგროვებისა და ანალიზისგან;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ვინაიდან შპს „უნივერსიტეტი გეომედის“ საექთნო საქმის საბაკალავრო პროგრამა (B.N.) ამჟამად განხორციელების წინა ეტაპზეა, ემპირიული ინდიკატორები, როგორიცაა სტუდენტთა ნაშრომები, შეფასების რეალური შედეგები, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები და ინტერვიუების შედეგები, ამ ეტაპზე არ არსებობს. თუმცა, პროგრამით და ეროვნული დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული შეფასების ჩარჩო ქმნის მექანიზმს, რომლის შეფასებაც შესაძლებელია აკრედიტაციის სტანდარტებთან მიმართებით. მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები განსაზღვრულია; პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ციკლი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემების განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.

ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესებისთვის, პროგრამა ახორციელებს სისტემური შეფასების ციკლს, რომელიც იწყება სწავლის შედეგების მკაფიო განსაზღვრით და აისახება სასწავლო გეგმის ყოვლისმომცველ რუკაში. პროგრამას აქვს სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის

შედეგისთვის. მინიმალური კომპეტენციის ზღვრები გამჭვირვალედ არის განსაზღვრული, ეროვნულ სამიზნე მაჩვენებლებთან ერთად; მაგალითად, ისეთი კრიტიკული უნარებისთვის, როგორიცაა არტერიული წნევის გაზომვა და პირველადი დახმარების გაწევა, განსაზღვრულია, 100%-იანი სამიზნე მაჩვენებელი. აღნიშნული ინდიკატორების განსაზღვრის შემდეგ, შეფასების სისტემა იყენებს შესაბამის შეფასების ფორმებსა და მეთოდებს (როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი შეფასების მეთოდებს), რაც შესაძლებელს ხდის დადგინდეს, რამდენად მიაღწიეს სტუდენტებმა პროგრამის სწავლის შედეგებს. მონაცემები გროვდება 100-ქულიანი ECTS სისტემის მეშვეობით, რომელიც მოიცავს მიმდინარე შუალედურ შეფასებებს, რაც საბოლოო შეფასების 60%-ს შეადგენს, და შემაჯამებელ დასკვნით შეფასებას, რაც 40%-ია. კლინიკური შეფასებების შემთხვევაში მონაცემები გროვდება ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდებისა (OSCE) და ობიექტურად სტრუქტურირებული პრაქტიკული გამოცდების (OSPE), ასევე, სამუშაო ადგილზე დაფუძნებული შეფასებების, მათ შორის, DOPS-ის, WPBA-სა და Mini-CEX-ის მეშვეობით, ხოლო კლინიკური საქმიანობის აღრიცხვის ჟურნალები გამოიყენება სასწავლო გამოცდილების არაპირდაპირი აღრიცხვისთვის.

მონაცემების შეგროვების შემდეგ, სწავლებისა და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების სწავლის შედეგები ფასდება თანმიმდევრულად, გამჭვირვალედ, შესაბამისი პერიოდულობის დაცვით, დარგის თავისებურებების გათვალისწინებით. სწავლის შედეგების შეფასების შედეგების მონიტორინგით და მათი სამიზნე ნიშნულებთან შედარებით დგინდება აღწევენ თუ არა სტუდენტები განსაზღვრულ ნიშნულებს. შემდგომში, უზრუნველყოფილია გარე დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების, პროფესიული ასოციაციებისა და სხვ.) ჩართულობა სწავლის შედეგების შეფასებაში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს დაინტერესებული მხარეების ინფორმირებას სწავლის შედეგების შეფასების ანალიზის შესახებ. აკადემიური პერსონალი, კლინიკური პარტნიორები და გარე ორგანიზაციები ერთობლივად განიხილავენ დამუშავებულ მონაცემებს, რათა მკაფიოდ გამოავლინონ ნებისმიერი ხარვეზი ან შეუსაბამობა სტუდენტთა ფაქტობრივ მიღწევებსა და დადგენილ ნიშნულებს შორის.

დაინტერესებულ მხარეებთან აღნიშნული მონაცემების განხილვის შედეგად გამოვლინდება კონკრეტული გასაუმჯობესებელი მიმართულებები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად, რაც გულისხმობს, რომ საჭიროების შემთხვევაში, ხდება პროგრამის შინაარსის და/ან სწავლის შედეგების და/ან შეფასების სისტემის და/ან სწავლების რესურსების მოდიფიცირება და განვითარება. ამის შემდეგ, ციკლი ბუნებრივად ხელახლა იწყება, რადგან პროგრამა მომდევნო სასწავლო პერიოდებში ახორციელებს აღნიშნული ცვლილებების გავლენის მონიტორინგს, რათა უზრუნველყოს განხორციელებული ცვლილებების შედეგად გამოვლენილი ხარვეზების წარმატებით აღმოფხვრა და საგანმანათლებლო ხარისხის საერთო გაუმჯობესება.

ამ კომპლექსური შეფასების მეთოდების წარმატებულ განხორციელებას უზრუნველყოფს 22 აფილირებული აკადემიური პერსონალისა და 24 მოწვეული სპეციალისტისგან შემდგარი პერსონალი. პროგრამის აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი იცნობს სწავლის შედეგების შეფასების ყველა მეთოდს. შეფასებისა და ანალიზისთვის საჭირო უნარების განვითარებისა და შესაბამისად, პერსონალის მხარდაჭერის მიზნით, ეროვნული დარგობრივი მახასიათებელი პირდაპირ ადგენს მოთხოვნას, რომლის თანახმადაც აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა რეგულარულად — ორ წელიწადში ერთხელ — უნდა გაიაროს საექთნო განათლების მეთოდოლოგიის მიმართულებით ტრენინგი, რაც შესაბამისი სერტიფიკატით უნდა დასტურდებოდეს. შეფასების მექანიზმების ზუსტი სტრუქტურის დეტალური აღწერითა და შეფასების რუბრიკების საჯაროობით, პროგრამა უზრუნველყოფს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის აღნიშნული უწყვეტი ციკლი გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი დარჩეს ყველა დაინტერესებული მხარისთვის, როგორც პროგრამის განხორციელებამდე, ისე განხორციელების პერიოდში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საექთნო საქმის საბაკალავრო პროგრამა
- სასწავლო გეგმის შინაარსი და რუკები
- სილაბუსები
- საექთნო საქმის დარგობრივი მახასიათებელი
- ინტერვიუები
- ადგილზე ვიზიტი

[რეკომენდაციები](#).

- არ არის მითითებული

[რჩევები პროგრამების განვითარებისთვის](#)

- სასურველია, პროგრამის დაწყებამდე, განხორციელდეს კლინიკური შემფასებლების წინასწარი შემოწმება. რადგან პროგრამა მნიშვნელოვნად ეყრდნობა პირდაპირ, დაკვირვებით შეფასების მეთოდებს, როგორიცაა ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა (OSCE), DOPS (პროცედურული უნარების პირდაპირი დაკვირვება) და Mini-CEX, შეფასება შესაძლებელია ძალიან სუბიექტური გახდეს. სასურველია, პირველი სემესტრის დაწყებამდე, პროგრამის ყველა - 21 აკადემიური და 24 მოწვეული კლინიკური პერსონალისთვის, შემფასებლის სანდოობის სავალდებული ვორქშოფების ჩატარება. იმიტირებული სტუდენტური სცენარების გამოყენებით, შემფასებლების შეფასება უზრუნველყოფს ყველა თანამშრომლის მიერ 100 - ქულიანი შეფასების რუბრიკებისა და კლინიკური კომპეტენციის ზღვრების თანმიმდევრულ და ერთგვაროვან ინტერპრეტაციას.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	შესაბამისობაშია

1.4. საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განხორციელების მეთოდოლოგიის შესაბამისად.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საექთნო საქმის საბაკალავრო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს, რომლებიც განაწილებულია ოთხ სასწავლო წელსა და რვა სემესტრზე. პროგრამის საერთო მოცულობა და სტრუქტურა სრულად შეესაბამება საბაკალავრო საფეხურსა და საექთნო საქმის ბაკალავრის კვალიფიკაციას. პროგრამა დამტკიცებულია უნივერსიტეტში დადგენილი პროცედურების შესაბამისად და ითვალისწინებს სასწავლო გეგმის რუკებს, სასწავლო კურსების დეტალურ სილაბუსებს და მკაფიოდ განსაზღვრულ წინაპირობებს.

სასწავლო გეგმა ხასიათდება ლოგიკური აკადემიური თანმიმდევრობით, რომელიც სწავლების ადრეულ სემესტრებში საბაზისო ბიოსამედიცინო და ზოგადი საექთნო სასწავლო კურსებიდან შემდგომ ეტაპებზე სპეციალიზებულ კლინიკურ დისციპლინებსა და პრაქტიკულ კლინიკურ სწავლებაზე გადადის. სასწავლო კურსებისა და წინაპირობების ამგვარი თანმიმდევრული განაწილება ეფექტიანად უწყობს ხელს სტუდენტების თეორიული ცოდნის, პრაქტიკული უნარების, პროფესიული პასუხისმგებლობისა და ავტონომიის ეტაპობრივ განვითარებას. სასწავლო გეგმა აერთიანებს სავალდებულო კლინიკურ სასწავლო კურსებს, სამეცნიერო და კვლევით კომპონენტებსა და არჩევით სასწავლო კურსებს. ისეთი სასწავლო კურსები, როგორიცაა აკადემიური წერა, სამეცნიერო კვლევის მეთოდები და სოციოლოგია, მიზანმიმართულად არის შემუშავებული კვლევითი და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკის უნარების გასავითარებლად, ხოლო ძირითადი კლინიკური კომპონენტი უზრუნველყოფს საექთნო საქმის არსებითი კომპეტენციების თანმიმდევრულ განვითარებას. გარდა ამისა, პროგრამა ხორციელდება ინგლისურ ენაზე და გამოირჩევა მკაფიოდ გამოხატული საერთაშორისო ორიენტაციით. ეს გლობალური პერსპექტივა, სიმულაციაზე

დაფუძნებული სწავლების, პირდაპირი კლინიკური სწავლებისა და კვლევაზე ორიენტირებული კომპონენტების ინტეგრაციასთან ერთად, პროგრამის გამორჩეულ საგანმანათლებლო პროფილს განსაზღვრავს.

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის ზოგადი სტრუქტურა თანმიმდევრულია, არსებული დოკუმენტაცია არ ითვალისწინებს საექთნო საქმის დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული კლინიკური სწავლების საათების მკაფიო და ზუსტ განაწილებას. კერძოდ, დოკუმენტაცია სათანადოდ არ მიჯნავს საკლასო სემინარებისთვის, სიმულაციისა და უნარების ლაბორატორიული აქტივობებისთვის განკუთვნილ საათებს, ჯანდაცვის რეალურ გარემოში, ზედამხედველობის ქვეშ განხორციელებული კლინიკური სწავლების საათებისგან. აღნიშნული საკითხი დეტალურად არის გაანალიზებული 2.2 კომპონენტის ფარგლებში. ანალოგიურად, კლინიკური ზედამხედველობის ორგანიზაციული ჩარჩო და პრაქტიკული სწავლების დროს კვალიფიციური საექთნო პერსონალის კონკრეტული როლი საჭიროებს დამატებით განსაზღვრას, რაც დეტალურად არის განხილული სტანდარტი 2-ის შესაბამის ნაწილებში.

საერთო ჯამში, პროგრამის სტრუქტურა ლოგიკურია და შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას. თუმცა, საჭიროა კლინიკური სწავლების კომპონენტებთან დაკავშირებული საკითხების დამატებით დაზუსტება, რათა საბოლოოდ დადასტურდეს, რომ პროგრამის სტრუქტურა უზრუნველყოფს ყველა დაგეგმილი სწავლის შედეგის წარმატებით მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საექთნო საქმის საბაკალავრო პროგრამა
- სასწავლო გეგმის შინაარსი და რუკები
- სილაბუსები
- საექთნო საქმის დარგობრივი მახასიათებელი
- ინტერვიუები
- ადგილზე ვიზიტი

[რეკომენდაციები](#).

- არ არის მითითებული

[რჩევები პროგრამების განვითარებისთვის](#)

- სასურველია, პროგრამის დოკუმენტაციაში უფრო მკაფიოდ აღიწეროს ის ელემენტები, რომლებიც განსაზღვრავს პროგრამის უნიკალურობას, რაც მოიცავს ინგლისურენოვან სწავლებას, სიმულაციისა და კლინიკური სწავლების ინტეგრაციას, მტკიცებულებებზე დაფუძნებულ საექთნო საქმეს და კვლევის კომპონენტებს.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.4 საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	შესაბამისობაშია

1.5. სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

განხილული სასწავლო კურსების სწავლის შედეგები, ზოგადად, შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან. წარმოდგენილი სილაბუსების, მათ შორის „სამეცნიერო კვლევის მეთოდების“ და „სოციოლოგიის“, „კლინიკური უნარები 2-ის“, „ საექთნო საქმე პედიატრიაში 1-ის“, „კრიტიკული ზრუნვისა და ინტენსიური თერაპიის საექთნო პრაქტიკის“, „ მეანობასა და გინეკოლოგიაში საექთნო პრაქტიკის“ და „გერმანული ენა 4-ის“ სასწავლო კურსების მიმოხილვა ცხადყოფს, რომ თითოეული სასწავლო კურსი მკაფიოდ განსაზღვრავს საკუთარ წვლილს პროგრამის უფრო ფართო მიზნების მიღწევაში. მაგალითად, „კლინიკური უნარები 2-ის“ სასწავლო კურსი პრაქტიკული სწავლების გზით, მათ შორის მედიკამენტების ადმინისტრირებისა და სიცოცხლის შენარჩუნების ღონისძიებების მიმართულებით, უშუალოდ ემსახურება პროგრამით განსაზღვრული საექთნო უნარებისა და გადაუდებელი დახმარების მოთხოვნების მიღწევას, ხოლო „სამეცნიერო კვლევის მეთოდების“ სასწავლო კურსი მკაფიოდ ავითარებს საჭირო ტრანსფერულ და კვლევით უნარებს. თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი დეტალურად შეესაბამება მასში განსაზღვრულ სწავლის შედეგებს; სილაბუსებში თემების კვირების მიხედვით განაწილება აჩვენებს თემების ლოგიკურ თანმიმდევრობას, რაც უშუალოდ უწყობს ხელს ცოდნის, უნარებისა და ავტონომიის განსაზღვრული დონის მიღწევას.

კრედიტების განაწილება და საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების თანაფარდობა ადეკვატურია და ასახავს თითოეული სასწავლო კურსის სპეციფიკურ თავისებურებებს. პროგრამა 1 ECTS კრედიტს 25 სასწავლო საათს უთანაბრებს. თეორიული და საბაზისო სასწავლო კურსები, როგორიცაა „სამეცნიერო კვლევის მეთოდები“ (3 ECTS) და „აკადემიური წერა“ (4 ECTS), კოგნიტური უნარების განვითარების მიზნით, ლექციების, პრაქტიკული სემინარებისა და დამოუკიდებელი სწავლის დაბალანსებულ კომბინაციას იყენებს. ამის

საპირისპიროდ, კლინიკურ სავალდებულო სასწავლო კურსებში, როგორიცაა „საექთნო პრაქტიკა პედიატრიაში“ (11 ECTS) და „საექთნო პრაქტიკა მეანობასა და გინეკოლოგიაში“ (12 ECTS), მნიშვნელოვანი წილი ეთმობა საკონტაქტო საათებს, კერძოდ, კლინიკური პრაქტიკის დღეებს, რაც ზუსტად ასახავს კლინიკური კომპეტენციის მისაღწევად საჭირო ინტენსიურ, პრაქტიკაზე დაფუძნებულ ხასიათს. თითოეული სწავლის შედეგი ფასდება ყოვლისმომცველი 100-ქულიანი შეფასების სისტემის მეშვეობით. აღნიშნული სისტემა მორგებულია სასწავლო კურსის ტიპზე: თეორიული საგნებისთვის გამოიყენება ქვიზები, პრეზენტაციები და წერითი ტესტები, ხოლო პრაქტიკული და კლინიკური საგნებისთვის გამოიყენება სპეციალიზებული კლინიკური შეფასების ინსტრუმენტები, როგორიცაა DOPS, WPBA, Mini-CEX და OSCE, რაც უზრუნველყოფს როგორც თეორიული ცოდნის, ისე პრაქტიკული უნარების საფუძვლიან შეფასებას.
განხილულ სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სასწავლო რესურსები, ზოგადად, აქტუალურია და შესაბამისობაშია სასწავლო კურსების შინაარსთან. რამდენიმე კლინიკური საექთნო სასწავლო კურსი მოიცავს საექთნო საქმის ძირითადი სახელმძღვანელოების უახლეს გამოცემებს და წვდომას ელექტრონულ მონაცემთა ბაზებზე, როგორიცაა EBSCO და ScienceDirect. თუმცა, „ადამიანის ფიზიოლოგიის“ სასწავლო კურსის ძირითადი სასწავლო მასალების შესაბამისობა შეიძლება გაუმჯობესდეს, რათა უკეთ აისახოს საექთნო განათლების დონე და პროფესიული მიმართულება. სილაბუსებში წარმოდგენილია ძირითადი სახელმძღვანელოების თანამედროვე გამოცემები, როგორიცაა „Clinical Nursing Skills & Techniques“-ის მე-11 გამოცემა (2025) და „Wong's Essentials of Pediatric Nursing“-ის მე-11 გამოცემა (2022). გარდა ამისა, განახლებული ელექტრონული წიგნების ჩართვა, ელექტრონულ მონაცემთა ბაზებზე, როგორიცაა EBSCO და ScienceDirect, წვდომა და სტუდენტებისთვის უახლესი სამეცნიერო სტატიების გაცნობის მოთხოვნა უზრუნველყოფს, რომ სასწავლო მასალები ასახავდეს საექთნო საქმის სფეროში არსებულ უახლეს კვლევებსა და მიღწევებს. აქტუალური რესურსების გამოყენებისადმი ეს მიდგომა თვალსაჩინოა ყველა გაანალიზებულ სასწავლო კურსში, დაწყებული საბაზისო აკადემიური წერით და დამთავრებული ინტენსიური თერაპიის სპეციალიზებული საექთნო პრაქტიკით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საექთნო საქმის საბაკალავრო პროგრამა
- სასწავლო გეგმის შინაარსი და რუკები
- სილაბუსები
- საექთნო საქმის დარგობრივი მახასიათებელი
- ინტერვიუები
- ადგილზე ვიზიტი

[რეკომენდაციები](#).

არ არის მითითებული

[რჩევები პროგრამების განვითარებისთვის](#)

- მიუხედავად, შეფასების მეთოდების მრავალფეროვნებისა, სასურველია, თითოეული დავალება (მაგ., კონკრეტული DOPS შეფასება ან კონკრეტული ესეს დავალება) უშუალოდ დაუკავშირდეს შესაბამისი სასწავლო კურსის სწავლის შედეგს სილაბუსში. ამჟამად, სილაბუსებში სწავლის შედეგები ჩამოთვლილია, ხოლო შეფასების მეთოდები ცალკეა წარმოდგენილი. თითოეულ სილაბუსში პირდაპირი მატრიცის შექმნა, რომელიც ზუსტად აჩვენებს თუ სწავლის რომელ კონკრეტულ შედეგს რომელი ინსტრუმენტი აფასებს, კიდევ უფრო გაზრდის გამჭვირვალობას და უზრუნველყოფს, რომ არც ერთი სწავლის შედეგი არ დარჩეს შეუფასებელი.
- სასურველია, გადაიხედოს „ადამიანის ფიზიოლოგიის" სასწავლო კურსის შინაარსი და ძირითადი სასწავლო მასალები, რათა უზრუნველყოთ მათი შესაბამისობა საექთნო საქმის საბაკალავრო პროგრამის დონესა და პროფესიულ სპეციფიკასთან; სათანადო აქცენტი უნდა გაკეთდეს საექთნო პრაქტიკისა და პაციენტის მონიტორინგისთვის რელევანტურ ფიზიოლოგიურ პროცესებზე.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.5. სასწავლო კურსი/საგანი	შესაბამისობაშია

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ საექთნო საქმის საბაკალავრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები მკაფიოდ არის განსაზღვრული, საჯაროდ ხელმისაწვდომია და ზოგადად შეესაბამება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას. პროგრამაზე მიიღებიან ის აპლიკანტები,

რომლებსაც აქვთ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი ან მისი ეკვივალენტი და რომელთაც ჩარიცხვის უფლება აქვთ ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე. საერთაშორისო აპლიკანტების შემთხვევაში, პროგრამაზე მიღება ხორციელდება საქართველოში უმაღლესი განათლების მარეგულირებელი შესაბამისი საკანონმდებლო დებულებების გათვალისწინებით. აპლიკანტებმა უნდა დაამტკიცონ ინგლისური ენის მინიმუმ B1 დონეზე ცოდნა შესაბამისი სერტიფიკატის წარდგენით ან უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული ინგლისური ენის გამოცდის წარმატებით ჩაბარებით.

პროგრამაზე მიღების წინაპირობები პროგრამის სწავლების დონესთან, სწავლების ენასთან და მოსალოდნელ სწავლის შედეგებთან ლოგიკურად არის დაკავშირებული. ინგლისური ენის ცოდნის მოთხოვნა შესაბამისია ინგლისურენოვანი პროგრამისთვის და ხელს უწყობს სტუდენტების მიერ სასწავლო პროგრამის წარმატებით დასრულებას.

თუმცა, ექსპერტთა ჯგუფმა გამოავლინა მნიშვნელოვანი საკითხი პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით სტუდენტთა მიღების დაგეგმვის მეთოდოლოგიის გამოყენებასთან დაკავშირებით. აკრედიტაციის სტანდარტების თანახმად, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ სტუდენტთა რაოდენობა უნდა განსაზღვროს ისეთი მეთოდოლოგიის საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს პროგრამის პროფილს, ხელმისაწვდომ აკადემიურ პერსონალს, კლინიკური სწავლების შესაძლებლობებს, მატერიალურ რესურსებსა და ინსტიტუციურ ინფრასტრუქტურას და სტუდენტთა მიღება განახორციელოს აღნიშნული მეთოდოლოგიის შესაბამისად.

უნივერსიტეტმა თავის არგუმენტირებულ პოზიციაში განმარტა, რომ აკადემიური საბჭოს მიერ 2025 წლის 31 იანვარს დამტკიცებულია „სტუდენტთა და პერსონალის (აკადემიური, მოწვეული, სამეცნიერო, ადმინისტრაციული, დამხმარე) კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი და მეთოდოლოგია“. აღნიშნული მეთოდოლოგია ითვალისწინებს პერსონალის თანაფარდობებს, მატერიალურ და კლინიკურ რესურსებს, ასევე პროგრამის სპეციფიკით განპირობებულ ფაქტორებს. ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნულ ფაქტობრივ განმარტებას იზიარებს. მიუხედავად ამისა, ვიზიტის დროს და თავდაპირველად განხილული დოკუმენტაციის საფუძველზე უნივერსიტეტმა ვერ წარმოადგინა საკმარისი მტკიცებულება, თუ როგორ იყო აღნიშნული მეთოდოლოგია კონკრეტულად საექთნო საქმის საბაკალავრო პროგრამის მიმართ გამოყენებული და როგორ ეფუძნებოდა მას ყოველწლიურად დაახლოებით 20 სტუდენტის მიღების დაგეგმილი რაოდენობა, საექთნო პერსონალის, კლინიკური პრაქტიკის გავლის შესაძლებლობების, სიმულაციური სწავლების ინფრასტრუქტურისა და პროგრამისთვის სპეციფიკური სხვა რესურსების გათვალისწინებით.

შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტთა მიღების მოთხოვნები გამჭვირვალე და შესაბამისია და არსებობს ინსტიტუციური კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია, აღნიშნული მეთოდოლოგიის პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით გამოყენება სათანადოდ დადასტურებული არ იყო. პროგრამის მდგრადი განხორციელების დასადასტურებლად აუცილებელია მკაფიო დოკუმენტაციის არსებობა, რომელიც საექთნო საქმის საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტთა დაგეგმილ მიღების რაოდენობას დააკავშირებს ხელმისაწვდომ საგანმანათლებლო, კლინიკურ და ადამიანურ რესურსებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინგლისურენოვანი საექთნო საქმის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ინგლისურენოვანი საექთნო საქმის საბაკალავროს საგანმანათლებლო პროგრამა;

- უნივერსიტეტის აკადემიური პროცესის მარეგულირებელი წესი, მათ შორის, პროგრამაზე მიღების, საერთაშორისო აპლიკანტების რეგისტრაციისა და ინგლისური ენის ცოდნის დადასტურების დებულებები;
- ქართულენოვანი აკადემიური პროცესის მარეგულირებელი წესი;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი და პროგრამაზე მიღების მოთხოვნების შესახებ სხვა საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაცია.

რეკომენდაციები

- რეკომენდებული, უნივერსიტეტმა სტუდენტთა და პერსონალის კონტინგენტის დაგეგმვის დამტკიცებული მეთოდოლოგია კონკრეტულად საექთნო საქმის საბაკალავრო საგანმანათლებლოს პროგრამის მიმართ გამოიყენოს და ოფიციალურად წარმოადგინოს, თუ როგორ განისაზღვრება დაგეგმილი სტუდენტთა წლიური მიღების რაოდენობა არსებული აკადემიური და საექთნო პერსონალის, კლინიკური პრაქტიკის გავლის შესაძლებლობების, სიმულაციური ინფრასტრუქტურის, მატერიალური რესურსებისა და პროგრამის სხვა სპეციფიკური მოთხოვნების გათვალისწინებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	ნაწილობრივ შესაბამისობაშია

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული,

სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ საექთნო საქმის საბაკალავრო პროგრამა ითვალისწინებს სტუდენტების პრაქტიკული, კლინიკური, სამეცნიერო/კვლევითი და უნივერსალური უნარების განვითარებას, ოთხი სასწავლო წლის განმავლობაში. პროგრამა სტრუქტურირებულია ისე, რომ სტუდენტები თავდაპირველად საუნივერსიტეტო გარემოში იძენენ საექთნო საქმის ფუნდამენტურ ცოდნას და ძირითად პრაქტიკულ კომპეტენციებს, ხოლო შემდგომში ამ კომპეტენციებს კლინიკურ გარემოში იყენებენ და ავითარებენ.

პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს, რაც სტუდენტის საერთო დატვირთვის 6000 საათს შეესაბამება.

სასწავლო გეგმა მოიცავს 130 ECTS კრედიტს, რომლებიც კლასიფიცირდება, როგორც კლინიკური სავალდებულო კურსები, და 7 ECTS კრედიტს, რომლებიც კლასიფიცირდება, როგორც სავალდებულო სამეცნიერო უნარების კურსები. კლინიკური კომპონენტი მოიცავს შინაგან მედიცინას, პედიატრიას, ქირურგიას, გადაუდებელ დახმარებას (emergency nursing), მეანობა-გინეკოლოგიას, ფსიქიკურ ჯანმრთელობას და ფსიქიატრიას, ინფექციურ დაავადებებს, პალიატიურ მზრუნველობას, კრიტიკულ მზრუნველობას (და ინტენსიურ თერაპიას და კლინიკური პრაქტიკის ცალკეულ კურსებს. სამეცნიერო უნარების კომპონენტი მოიცავს აკადემიურ წერას, სამეცნიერო კვლევის მეთოდებსა და სოციოლოგიას.
პრაქტიკული კომპონენტი პროგრესულ მოდელს მიჰყვება. საწყის ეტაპზე, სტუდენტები ავითარებენ საბაზისო საექთნო და კლინიკურ უნარებს „საექთნო საქმის საფუძვლებისა“ და „კლინიკური უნარების 1 და 2“ კურსების მეშვეობით. ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა საექთნო საქმის სიმულაციისა და პრაქტიკული უნარების ტრენინგისთვის განკუთვნილი ორი ოთახი, რომლებიც მანეკენებით და სხვა სასწავლო მოწყობილობებით არის აღჭურვილი. პროგრამის ხელმძღვანელის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის და პრორექტორის თქმით, ეს საშუალებები განკუთვნილია საექთნო საქმის პროცედურების ადრეულ ეტაპზე შეთვისებისთვის, სანამ სტუდენტები კლინიკურ გარემოში გადაინაცვლებენ.
სასწავლო პროგრამები მოიცავს საექთნო საქმეზე ორიენტირებულ სწავლის შედეგებს, როგორიცაა ექთნების შეფასება, საექთნო დიაგნოზების ფორმულირება, ექთნების მზრუნველობის გეგმების (nursing care plans) შემუშავება და განხორციელება, პაციენტის მონიტორინგი, საექთნო დოკუმენტაციის შედგენა, პაციენტისა და ოჯახის განათლება, კომუნიკაცია, მზრუნველობის (მოვლის) უწყვეტობა, გუნდური მუშაობა და პროფესიული პასუხისმგებლობა. ისინი ასევე ეხება პაციენტის საწოლთან სწავლებას, სიმულაციას, როლურ თამაშს, CBL, PBL, TBL, CBD, CBCR, DOPS, WPBA, P-MEX, ჟურნალებს და OSCE-ს. ეს აჩვენებს, რომ პროგრამა ფორმალურად პრაქტიკული და პროფესიული საექთნო საქმის კომპეტენციების ფართო სპექტრს მოიცავს. მიუხედავად ამისა, კლინიკური კომპონენტის ორგანიზება და დოკუმენტაცია მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს შეიცავს.
„საექთნო საქმის დარგობრივი მახასიათებელი“ ადგენს საექთნო საქმის პროგრამისთვის სავალდებულო მინიმალურ მოთხოვნებს. იგი მოითხოვს თეორიული და კლინიკური

მომზადების მინიმუმ სამ წელს და არანაკლებ 4,600 საათს. თეორიული კომპონენტი უნდა შედგებოდეს ამ მინიმალური ხანგრძლივობის სულ ცოტა ერთი მესამედის, არანაკლებ 1,534 საათისგან, ხოლო კლინიკური მომზადება უნდა მოიცავდეს მინიმუმ ნახევარს, არანაკლებ 2,300 საათისა. პროგრამის საერთო დატვირთვა 6,000 საათი აღემატება 4,600 საათის ზოგად მინიმუმს. თუმცა, სასწავლო გეგმა არ იძლევა შემდეგი საკითხების მკაფიო, ერთმანეთისგან შემოწმებად გამიჯვნას (verifiable separation between): თეორიული სწავლება; საკლასო სემინარები; სიმულაციური და უნარ-ჩვევების ლაბორატორიული აქტივობები; კლინიკური დემონსტრაციები; საწოლთან სწავლება; ზედამხედველობითი კლინიკური განათლება, რომელიც მოიცავს პაციენტის უშუალო მოვლას.
წარმოდგენილი სასწავლო გეგმის საფუძველზე, დაახლოებით 1,425 საათი შეიძლება პირდაპირ დაუკავშირდეს კლინიკურ როტაციებად ან კლინიკურ პრაქტიკად განსაზღვრულ კურსებს. მაშინაც კი, თუკი დაემატება „საექთნო საქმის საფუძვლებისთვის“, „კლინიკური უნარ-ჩვევებისთვის 1 და 2“ და სხვა საწყისი პრაქტიკული კურსებისთვის გამოყოფილი პრაქტიკული საათები, იდენტიფიცირებადი პრაქტიკული და კლინიკური კომპონენტი დაახლოებით 1,560 საათს შეადგენს. ეს მნიშვნელოვნად ნაკლებია კლინიკური მომზადებისთვის განსაზღვრულ მინიმუმ 2,300 საათზე. აკადემიური გეგმა „პრაქტიკული/სემინარული“ აქტივობების ფართო კატეგორიაში დაახლოებით 2,295 საათს მოიცავს. თუმცა, ეს მაჩვენებელი არ შეიძლება ჩაითვალოს კლინიკური განათლების 2,300 საათის ეკვივალენტად. კატეგორია მოიცავს საკლასო სემინარებსა და პრაქტიკულ აქტივობებს ზოგადი განათლების, ენების, ბიოსამედიცინო მეცნიერებების, აკადემიური წერის, საინფორმაციო ტექნოლოგიების, სიმულაციისა და სხვა არაკლინიკური კომპონენტების მიმართულებით. „დარგობრივი სამიზნე ნიშნული“ მოითხოვს კლინიკურ ტრენინგს და არა ყველა პრაქტიკული და სემინარული საკონტაქტო საათის ჯამს. ეს განსხვავება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან სიმულაცია და საკლასო აქტივობა, მიუხედავად იმისა, რომ საგანმანათლებლო თვალსაზრისით ღირებულია, რეალური ჯანდაცვის გარემოში ზედამხედველობით კლინიკურ განათლებას ავტომატურად არ წარმოადგენს.

თავად სასწავლო პროგრამები ამ საკითხს ვერ გადაწყვეტს. მაგალითად, შინაგანი მედიცინისა და პედიატრიის კურსები თავიანთ საათებს აღწერენ როგორც „სემინარებს“, ამავდროულად მიუთითებენ კლინიკურ როტაციებზე, პაციენტის საწოლთან სწავლებასა და პაციენტის ზედამხედველობაზე. ინტერვიუების დროს, აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა და პროგრამის ხელმძღვანელობამ განმარტა, რომ ეს სასემინარო საათები მოიცავდა კლინიკურ გარემოში მუშაობას. თუმცა, მათ ვერ შეძლეს ნათლად დაეკონკრეტებინათ, თუ რომელი საათები ჩატარდებოდა საკლასო ოთახებში, სიმულაციურ ზონებში ან კლინიკურ განყოფილებებში, ან რამდენი საათი მოიცავდა პაციენტის პირდაპირ მოვლას. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა 2300-საათიანი კლინიკური ტრენინგის სავალდებულო მოთხოვნასთან შესაბამისობის დადასტურება ვერ შეძლო.

პროგრამის ფარგლებში არსებობს შეთანხმებები და მემორანდუმები ჯანდაცვის დაწესებულებებთან, ხოლო წარმოდგენილი დოკუმენტაცია ითვალისწინებს საავადმყოფოს სხვადასხვა განყოფილებებსა და კლინიკურ ინფრასტრუქტურაზე წვდომას. ეს წარმოადგენს დაგეგმილი კლინიკური სწავლების განხორციელების საფუძველს.

თუმცა, პროგრამის დონეზე, კლინიკური პრაქტიკის მარეგულირებელი დოკუმენტი არ იქნა წარმოდგენილი. კერძოდ, ექსპერტთა ჯგუფს არ მიუღია კლინიკური პრაქტიკის დებულება ან სახელმძღვანელო დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავდა: სტუდენტების განაწილებას კლინიკურ ცენტრებში; უნივერსიტეტისა და კლინიკური დაწესებულების პასუხისმგებლობებს; კურსის კოორდინატორის, კლინიკური ხელმძღვანელისა და მენტორი ექთნის მოვალეობებს; სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობას; საჭირო კლინიკურ აქტივობებსა და პროცედურებს; დასწრებას და გაცდენილი საათების შევსებას; ინციდენტების შესახებ ანგარიშგებას; კლინიკური კომპეტენციის შეფასებას და დადასტურებას.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი შეთანხმების დოკუმენტები კლინიკური პრაქტიკის შესახებ ყოველთვის არ აჩვენებდა, რომ ისინი სპეციალურად საექთნო საქმის საბაკალავრო პროგრამისთვის იყო ადაპტირებული. შესწავლისას გამოვლინდა, რომ ზოგიერთი შეთანხმება და დანართი თავდაპირველად არსებული სამედიცინო პროგრამებისთვის იყო შემუშავებული ან აღწერდა ზოგად ინსტიტუციურ თანამშრომლობას. დოკუმენტაცია ყოველთვის ნათლად არ აკონკრეტებდა ექთანი სტუდენტების რაოდენობას, საექთნო საქმის სპეციფიკურ სწავლის შედეგებს, თითოეული ექთნის სტაჟირების ხანგრძლივობას ან სამედიცინო პერსონალის როლს სტუდენტების ზედამხედველობაში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფს არ ჰქონდა საშუალება შეემოწმებინა, შეიძლებოდა თუ არა სტუდენტების დაგეგმილი რაოდენობის თითოეულ კლინიკაში მუდმივად განთავსება, კლინიკური მომზადების კოეფიციენტებისა და „საექთნო საქმის დარგობრივი სამიზნე ნიშნულების დებულებით“ დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

ინტერვიუების დროს პროგრამის დირექტორმა განმარტა, რომ კურსზე პასუხისმგებელი აკადემიური პერსონალი ასევე ზედამხედველობას გაუწევდა მის პრაქტიკულ ან კლინიკურ კომპონენტს. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ კლინიკური საექთნო საქმის რიგ კურსებს ექიმები ან მოწვეული სამედიცინო სპეციალისტები ხელმძღვანელობენ. მაგალითად, „ქირურგიაში საექთნო მზრუნველობას“ ხელმძღვანელობს ქირურგიის სპეციალისტი, ხოლო ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ თეორიულ და პრაქტიკულ კომპონენტებს ერთი და იგივე ექიმი ატარებდა.

ექსპერტთა ჯგუფი არ მიიჩნევს, რომ ექიმების მონაწილეობა საექთნო განათლებაში თავისთავად შეუფერებელია. ექიმებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ პათოფიზიოლოგიაში, დიაგნოსტიკაში, სამედიცინო მენეჯმენტსა და ინტერპროფესიულ განათლებაში. თუმცა, დოკუმენტაციის შესწავლისა და ინტერვიუების დროს არ გამოვლინდა კვალიფიციური ექთანი პედაგოგებისა და საექთნო საქმის კლინიკური მენტორების სისტემატური მონაწილეობა საექთნო საქმეზე ორიენტირებული კომპეტენციების სწავლებასა და შეფასებაში. ამიტომ, გაურკვეველი დარჩა, ვინ აიღებდა პირდაპირ პასუხისმგებლობას შემდეგი მიმართულებებით მუშაობასა და შეფასებაზე: ექთნების შეფასება; საექთნო დიაგნოზების ფორმულირება; საექთნო მზრუნველობის დაგეგმვა; ექთნების ინტერვენციების განხორციელება და შეფასება; საექთნო დოკუმენტაციის შედგენა; პაციენტისა და ოჯახის

განათლება; მზრუნველობის (მოვლის) უწყვეტობა და კოორდინაცია; ექთნის პროფესიული ანგარიშვალდებულება; ავტონომიური საექთნო პრაქტიკის განვითარება.
კლინიკურ ცენტრებში ვიზიტების დროს, არ იყო ნაჩვენები როგორ ხდება კლინიკური ზედამხედველობის ორგანიზება. ერთ კლინიკურ ბაზაზე ექსპერტთა ჯგუფმა ვერ შეძლო პასუხისმგებელი კლინიკური კოორდინატორის ან დანიშნული მენტორი ექთნის იდენტიფიცირება და სტუდენტების საექთნო მზრუნველობაში მონაწილეობის ზუსტი ფორმატი გაურკვეველი დარჩა. დაწესებულებას დამატებით არ წარმოუდგენია პროგრამის სპეციფიკური დოკუმენტი, რომელიც განმარტავდა ამ პასუხისმგებლობებს.
პროგრამის კვლევითი უნარების განვითარების კომპონენტი ლოგიკურად თანმიმდევრულია. აკადემიური წერა ტარდება მეორე სემესტრში და მოიცავს 4 ECTS-ს. კურსი ავითარებს აკადემიურ წერის, კრიტიკული კითხვის, წყაროების შეფასების, არგუმენტაციის, ციტირების, აკადემიური კეთილსინდისიერების, ლიტერატურის მიმოხილვის, პრეზენტაციის, ურთიერთშეფასების, ავტონომიის და დროის მენეჯმენტის უნარებს. კურსი ითვალისწინებს სტუდენტების მიერ კვლევაზე დაფუძნებული აკადემიური პროექტის შემუშავებას და წარდგენას.

მესამე სემესტრში ისწავლება 3 ECTS-იანი „სამეცნიერო კვლევის მეთოდები და სოციოლოგია“. იგი მოიცავს კვლევის დიზაინს, რაოდენობრივ და თვისებრივ მეთოდებს, მონაცემთა შეგროვებას, ლიტერატურის მიმოხილვას, კვლევით კითხვებსა და ჰიპოთეზებს, კვლევის ეთიკას, პლაგიატს, სამეცნიერო ნაშრომებს, კვლევითი განაცხადის ან ანგარიშის მომზადებას და შედეგების პრეზენტაციას. აკადემიური წერა განსაზღვრულია როგორც აღნიშნული კურსის წინაპირობა.

თუმცა, თვითშეფასების ანგარიშში ზოგადად არის აღწერილი სტუდენტების სამომავლო ჩართულობა კვლევით საქმიანობაში. რადგან პროგრამა ახალია, დასრულებული სტუდენტური კვლევითი პროექტები, პუბლიკაციები და კურსდამთავრებულთა შედეგები ჯერ არ არსებობს. მიუხედავად ამისა, ექსპერტთა ჯგუფს არ მიეწოდა საკმარისად დეტალური გეგმა, რომელიც აჩვენებდა: კონკრეტულ მიმდინარე ან დაგეგმილ საექთნო საქმის კვლევით პროექტებს, რომლებიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის; როლს, რომელსაც საექთნო საქმის სტუდენტები შეასრულებენ ამ პროექტებში; შერჩეულ კვლევით ხელმძღვანელებს; სტუდენტების მონაწილეობის მექანიზმებს საუნივერსიტეტო ან გარე კონფერენციებში; საექთნო საქმის სპეციალობის კვლევით თემებს; კვლევითი განაცხადის ან მტკიცებულებებზე დაფუძნებული საექთნო საქმის პროექტის შაბლონებს; შეფასების რუბრიკებს ლიტერატურის მიმოხილვების, კვლევითი განაცხადების ან კვლევითი პრეზენტაციებისთვის. ამდენად, კვლევითი წიგნიერების განვითარების სასწავლო საფუძველი არსებობს, მაგრამ სტუდენტების კვლევით პროექტებში აქტიური ჩართულობის მექანიზმები დამატებით დაზუსტებას საჭიროებს.

უნივერსალური უნარები მთელ პროგრამაშია ინტეგრირებული და მოიცავს: წერილობით და ზეპირ კომუნიკაციას; ექთანსა და პაციენტს და ექთანსა და ოჯახს შორის კომუნიკაციას; გუნდურ მუშაობასა და მულტიდისციპლინურ თანამშრომლობას; კრიტიკულ აზროვნებასა და კლინიკურ მსჯელობას; პრობლემების გადაჭრასა და გადაწყვეტილების მიღებას; ლიდერობასა და პასუხისმგებლობას; ეთიკურ და პროფესიულ ქცევას; თვითშეფასებასა და რეფლექსიურ პრაქტიკას; ციფრულ და ინფორმაციულ წიგნიერებას; დროის მენეჯმენტს;

პაციენტის განათლებას; კულტურათაშორის კომუნიკაციას. აკადემიური წერა ხელს უწყობს კომუნიკაციას, არგუმენტაციას, თანატოლების უკუკავშირს, დამოუკიდებელ სწავლას და დროის მენეჯმენტს. თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიები ავითარებს ციფრულ კომუნიკაციას, დოკუმენტების მომზადებას, ცხრილების გამოყენებას, მონაცემთა პრეზენტაციას, ''ღრუბლოვან'' ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ თანამშრომლობას, ინფორმაციის ძიებას და ციფრული ინფორმაციის ეთიკურ დამუშავებას. კლინიკური კურსები და სტაჟირება ითვალისწინებს როლურ თამაშს, გუნდურ მუშაობას, პაციენტის საწოლთან კომუნიკაციას, პაციენტის განათლებას, რეფლექსიურ პრაქტიკას, P-MEX-ს და სამუშაო ადგილზე დაფუძნებულ შეფასებას. გადაუდებელი მედიცინის პრაქტიკის P-MEX ფორმა კომუნიკაციის, გუნდური მუშაობის, თანაგრძნობის, პასუხისმგებლობის, დროის მენეჯმენტისა და ინიციატივის შეფასების კონკრეტულ მაგალითს იძლევა.

მიუხედავად იმისა, რომ ლიდერობა, პასუხისმგებლობა და ციფრული წიგნიერება ასახულია პროგრამის სწავლის შედეგებსა და კურსის შინაარსში, წარმოდგენილი დოკუმენტაცია ნათლად არ აჩვენებს, თუ მომდევნო კლინიკურ ეტაპებზე თანდათანობით როგორ დაიხვეწება ექთნის ლიდერობის, კოორდინაციისა და დელეგირების უნარები. ანალოგიურად, მიუხედავად იმისა, რომ საინფორმაციო ტექნოლოგიების უნარები განხილულია სასწავლო გეგმაში, ექსპერტთა ჯგუფმა ვერ შეძლო ნათლად გადაემოწმებინა, თუ როგორ მიიღებენ სტუდენტები ელექტრონული სამედიცინო ჩანაწერების გამოყენებაში პრაქტიკულ ტრენინგს საექთნო საქმის ან კლინიკური პრაქტიკის კონტექსტში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საექთნო საქმის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- საექთნო საქმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- საექთნო საქმის დარგობრივი სამიზნე ნიშნულების დებულება;
- კურსის სილაბუსები;
- ჯანდაცვის დაწესებულებებთან კლინიკური პრაქტიკის შესახებ შეთანხმებები და მემორანდუმები;
- სიმულაციური და პრაქტიკული სასწავლო ობიექტების დათვალიერება;
- რექტორთან, პრორექტორებთან, დეკანთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, კლინიკური დაწესებულებების წარმომადგენლებთან და ადმინისტრაციასთან ინტერვიუები;

[რეკომენდაციები]

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გადახედოს და ოფიციალურად აღრიცხოს საექთნო საქმის საბაკალავრო პროგრამის პრაქტიკული და კლინიკური კომპონენტი, რათა უზრუნველყოს და დაადასტუროს ჯანდაცვის რეალურ გარემოში, ზედამხედველობის ქვეშ, არანაკლებ 2 300 საათის კლინიკური სწავლება, საექთნო საქმის დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად. რეკომენდებულია, განახლებულ დოკუმენტაციაში მკაფიოდ გაიმიჯნოს თეორიული სწავლება, აუდიტორიაში ჩატარებული სემინარები, სიმულაცია და უნარების ლაბორატორიაში განხორციელებული აქტივობები ზედამხედველობის ქვეშ პაციენტთა უშუალო მოვლის საათებისგან, ხოლო კლინიკური სწავლების საათები დაანგარიშდეს

თითოეული სასწავლო კურსისა და კონკრეტული კლინიკური დაწესებულების მიხედვით.

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს და ოფიციალურად დაამტკიცოს პროგრამაზე მორგებული ჩარჩო - კლინიკური პრაქტიკის ორგანიზების, ზედამხედველობისა და შეფასებისთვის. რეკომენდებულია, ამ ჩარჩოთი განისაზღვროს აკადემიური პერსონალის, კლინიკური კოორდინატორების, კვალიფიციური საექთნო მიმართულების პედაგოგებისა და კლინიკური მენტორი ექთნის პასუხისმგებლობები; სტუდენტებისა და ზედამხედველების თანაფარდობა; აუცილებელი საექთნო პროცედურები და კლინიკური აქტივობები; დასწრებისა და გაცდენილი პრაქტიკის აღდგენის მოთხოვნები; აგრეთვე, საექთნო კომპეტენციების მიღწევის დადასტურების მექანიზმები.
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე, საექთნო მიმართულების პერსონალის სისტემატური ჩართვა საექთნო სფეროს სპეციფიკური კომპეტენციების სწავლებაში, ზედამხედველობასა და შეფასებაში, მათ შორის საექთნო შეფასების, საექთნო დიაგნოზის, მოვლის დაგეგმვის, საექთნო ჩარევების, საექთნო დოკუმენტაციის, პაციენტის განათლების, მოვლის უწყვეტობისა და პროფესიული საექთნო ავტონომიის მიმართულებით.

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- სასურველია, საექთნო საქმის სტუდენტების კვლევით საქმიანობაში მონაწილეობის მიზნით, პროგრამულ დონეზე, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს გეგმა, რომელიც მოიცავს სამომავლო კვლევით პროექტებს, ხელმძღვანელებს, სტუდენტთა კვლევით დავალებებს, კონფერენციებში მონაწილეობასა და კვლევის შედეგების გავრცელების შესაძლებლობებს.
- სასურველია, კვლევითი და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკის უნარები ეტაპობრივად განმტკიცდეს, შემდგომ კლინიკურ სასწავლო კურსებში შესაბამისი საექთნო კვლევების, სამეცნიერო ლიტერატურის შეფასების ან მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკის აქტივობების მეშვეობით.
- სასურველია, პროგრამამ სტუდენტებისთვის შექმნას შესაძლებლობები, რომ მათ სიმულაციისა და/ან ზედამხედველობის ქვეშ განხორციელებული კლინიკური პრაქტიკის დროს, ეტაპობრივად განივითარონ და გამოავლინონ საექთნო ლიდერობის, კოორდინაციისა და დელეგირების უნარები.
- სასურველია, პროგრამამ უზრუნველყოს ელექტრონული სამედიცინო ჩანაწერების გამოყენების პრაქტიკული სწავლება შესაბამის საგანმანათლებლო, სიმულაციურ ან ზედამხედველობის ქვეშ განხორციელებულ კლინიკურ გარემოში, საექთნო საქმის დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	ნაწილობრივ შესაბამისობაშია

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა საექთნო საქმის საბაკალავრო პროგრამის სწავლებისა და სწავლის მეთოდები თვითშეფასების ანგარიშის, საგანმანათლებლო პროგრამის, საექთნო საქმის საგნის სამიზნე ნიშნულების დებულების, კურსის სასწავლო გეგმების, პროგრამის მენეჯმენტთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუების და ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული დაკვირვებების საფუძველზე.

ფორმალურ დონეზე, პროგრამა სწავლებისა და სწავლის მეთოდების ფართო სპექტრს მოიცავს. ესენია: ინტერაქტიული ლექციები, სემინარები, დისკუსიები, ლაბორატორიული და პრაქტიკული სამუშაოები, დემონსტრაციები, სიმულაცია, როლური თამაშები, პაციენტის საწოლთან სწავლება, CBL, PBL, TBL, CBCR, „შებრუნებული საკლასო ოთახი“, სცენარებზე დაფუძნებული სწავლება, პრეზენტაციები, დამოუკიდებელი მუშაობა, კონსულტაციები, უკუკავშირი და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება. პროგრამის დოკუმენტი ასევე იძლევა ძირითადი მეთოდების ზოგად განმარტებებს.

მეთოდების დიაპაზონი ზოგადად შეესაბამება განათლების დონესა და სფეროს და ფართოდ ასახავს საექთნო საქმის საგნის სამიზნე ნიშნულების დებულებას. განხილული სასწავლო პროგრამები სანდო მტკიცებულებას იძლევა, რომ რიგი მეთოდები ინტეგრირებულია რეალურ სწავლების პროცესში.

ამ კურსებში გამოყენებული მეთოდები ზოგადად შეესაბამება შინაარსს და მოსალოდნელ შედეგებს. კერძოდ, სიმულაცია და პროცედურული სწავლება შესაბამისად გამოიყენება სასიცოცხლო ნიშნების შეფასების, ინფექციის კონტროლის, მედიკამენტების მიღების, ჟანგბადით თერაპიის, ინტრავენური პროცედურების, ჭრილობების მოვლის, BLS-ის, AED-ის გამოყენების და სხვა პრაქტიკული კომპეტენციების განვითარებისთვის.

თუმცა, ექსპერტთა ჯგუფმა პროგრამასა და სასწავლო გეგმებში შეტანილ სტუდენტზე ორიენტირებული მეთოდების ვრცელ ჩამონათვალსა და დეტალურ სასწავლო გეგმებში რეალიზებულ მეთოდებს შორის განმეორებითი შეუსაბამობა გამოავლინა.

უფრო რთული მეთოდები, განსაკუთრებით PBL, TBL, CBCR და „შებრუნებული საკლასო ოთახი“, ხშირად შედის ზოგად სიებში, თუმცა საკმარისი ახსნის გარეშე იმისა, თუ ფაქტიურად როგორ მოხდება მათი გამოყენება. სასწავლო გეგმები ყოველთვის არ შეიცავს ინფორმაციას, რომელიც ეხება: შესაბამის პრობლემას ან კლინიკურ შემთხვევას; სტუდენტის საჭირო მომზადებას; ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის ორგანიზებას; სასწავლო

აქტივობების თანმიმდევრობას; ფასილიტატორის როლს; სტუდენტის სწავლების მოსალოდნელ შედეგებს; აქტივობასა და კონკრეტულ ასწავლის შედეგს შორის კავშირს.
ზოგიერთ კლინიკურ სასწავლო გეგმაში, რამდენიმე მეთოდი - როგორიცაა PBL, CBL, TBL, CBCR, „შებრუნებული საკლასო ოთახი“ და პაციენტის საწოლთან სწავლება - ერთდროულად არის ჩამოთვლილი ერთი და იგივე სესიისთვის, ხოლო თავად აქტივობა აღწერილია მხოლოდ როგორც „სასწავლო მასალების განხილვა“. მაგალითად, ეს საკითხი განსაკუთრებით თვალსაჩინოა ქირურგიაში საექთნო მზრუნველობის გაკვეთილზე.
ასეთი აღწერილობები ექსპერტთა ჯგუფს არ აძლევს საშუალებას განასხვავოს სტრუქტურირებული სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება ჩვეულებრივი მასწავლებლის მიერ წარმართული დისკუსიისგან. PBL სტუდენტებისგან მოითხოვს პრობლემის ანალიზს, მათი სასწავლო საჭიროებების იდენტიფიცირებას, თვითმართვადი კვლევის ჩატარებას და შემდგომში მათი დასკვნების სინთეზირებას. TBL მოითხოვს წინასწარ მომზადებას, ორგანიზებულ გუნდურ მუშაობას და ინდივიდუალურ და ჯგუფურ სასწავლო აქტივობებს. საექთნო საქმის საგნის სამიზნე ნიშნული კონკრეტულად აღწერს TBL - ს, როგორც დაახლოებით ხუთიდან ექვს სტუდენტამდე ჯგუფების ჩართვას და ინდივიდუალურ და გუნდურ აქტივობებს ან ტესტებს. ეს განმსაზღვრელი ელემენტები განხილულ სასწავლო გეგმებში თანმიმდევრულად ასახული არ არის.
CBL-ის, როლური თამაშების და პაციენტის საწოლთან სწავლების განხორციელება ასევე არათანაბარია. ეს მეთოდები მრავალ კლინიკურ კურსში ისწავლება და ეხება ექთნის შეფასებას, კომუნიკაციას, პაციენტის მოვლის დაგეგმვას, პაციენტის განათლებას, ეთიკური გადაწყვეტილების მიღებას და კლინიკურ მსჯელობას. თუმცა, სასწავლო გეგმები კონკრეტულ შემთხვევას ან სცენარს, სტუდენტის როლს, მოსალოდნელ საექთნო აქტივობას, კლინიკურ ან სიმულაციურ გარემოს ან უკუკავშირის ფორმას ყოველთვის არ განმარტავს.
პაციენტის საწოლთან სწავლება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან საექთნო საქმის საგნის სამიზნე ნიშნული მას განსაზღვრავს, როგორც რამდენიმე საექთნო კომპეტენციისთვის მინიმალური სწავლების მეთოდს. მიუხედავად ამისა, განხილული დოკუმენტები ყოველთვის არ განასხვავებს პაციენტის საწოლთან სწავლებას საკლასო სემინარებისგან, ზოგადი კლინიკური დისკუსიებისგან, სიმულაციისგან ან კლინიკურ გარემოში დაკვირვებისგან.

ინტერვიუების დროს, აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა დაადასტურა, რომ ისინი გეგმავდნენ PBL, CBL, TBL, CBCR და სხვა აქტიური მეთოდების გამოყენებას. თუმცა, მათი განმარტებები ამ მეთოდებს შორის განსხვავებების ერთიან ოპერატიულ გაგებაზე ყოველთვის არ მიუთითებდა. ზოგიერთ შემთხვევაში, აღწერილობები მიუთითებდა, რომ PBL, CBL და CBCR შეიძლება ფართოდ იყოს გაგებული, როგორც მასწავლებლის მიერ ჩატარებული კლინიკური შემთხვევის განხილვა.
ამიტომ, ექსპერტთა ჯგუფმა ინტერაქტიული ლექციების, დისკუსიების, ვიზუალური და ლაბორატორიული სამუშაოების, დემონსტრაციების, პრეზენტაციების, სიმულაციისა და პროცედურული უნარების ტრენინგის დანერგვა ეფექტიანობის უფრო დამაჯერებელ მტკიცებულებად მიიჩნია, ვიდრე სტრუქტურირებული PBL, TBL, CBCR და „შებრუნებული საკლასო ოთახის“ თანმიმდევრული გამოყენება.
დეკლარირებული მეთოდები ზოგადად ხელს უწყობს სტუდენტების მონაწილეობას და ურთიერთქმედებას პერსონალსა და სტუდენტებს შორის, ასევე, თავად სტუდენტებს შორის. პრეზენტაციები, დისკუსიები, ჯგუფური აქტივობები, სიმულაციები, როლური თამაშები და შემთხვევის ანალიზი შეიძლება ხელს უწყობდეს კომუნიკაციას, გუნდურ მუშაობას და

კრიტიკულ აზროვნებას. თუმცა, დეტალური გეგმები კვლავ მნიშვნელოვნად ეყრდნობა შესწავლილი მასალის ზეპირ პრეზენტაციას, ზეპირი კითხვების დასმას, ბლიც-გამოკითხვებს და ინდივიდუალური დავალებების შემოწმებას. ეს აქტივობები სტუდენტების ჩართულობას კი უზრუნველყოფს, მაგრამ ყოველთვის არ აჩვენებს საკმარის პროგრესს თვითმართვადი სწავლის, ავტონომიის, თანამშრომლობითი გადაწყვეტილების მიღებისა და უცნობ საექთნო სიტუაციებში ცოდნის გამოყენების მიმართულებით.
პროგრამა მოიცავს ინდივიდუალურ კონსულტაციებს, დამოუკიდებელ სწავლებას და ელექტრონულ რესურსებს, რაც მოქნილობის საფუძველს იძლევა. თუმცა, დოკუმენტაცია არასაკმარისად შეიცავს პროგრამისთვის დამახასიათებელ სპეციფიკურ მტკიცებულებებს იმის შესახებ, თუ როგორ იქნება ადაპტირებული სწავლების მეთოდები: აკადემიური მომზადების სხვადასხვა დონესთან; ენასთან დაკავშირებულ სირთულეებთან; ინდივიდუალურ სასწავლო საჭიროებებთან; სტუდენტებთან, რომლებსაც დამატებითი პრაქტიკა ან აკადემიური მხარდაჭერა სჭირდებათ; საერთაშორისო სტუდენტების კულტურულ და საგანმანათლებლო ფონთან.
რადგან პროგრამა ინგლისურ ენაზე ტარდება და განკუთვნილია საერთაშორისო სტუდენტებისთვის, კომუნიკაციის ტრენინგის, როლური თამაშების, სიმულაციისა და პაციენტის განათლების დიზაინი ენობრივ და კულტურულ მრავალფეროვნებას უფრო მკაფიოდ უნდა ითვალისწინებდეს.
უნივერსიტეტს აქვს ელექტრონული სისტემები და ციფრული რესურსები, რომლებიც გამოიყენება სინქრონული და ასინქრონული სწავლებისას. თუმცა, პროგრამამ უფრო მკაფიოდ უნდა განასხვავოს ელექტრონულად შესასრულებელი თეორიული აქტივობები ლაბორატორიული, სიმულაციური და კლინიკური აქტივობებისგან, რომლებიც პირდაპირ მონაწილეობას მოითხოვს და არ შეიძლება ჩანაცვლდეს დისტანციური სწავლებით.
ინტერვიუებმა აჩვენა, რომ საჭიროა შემდგომი პრაქტიკული, მეთოდზე ორიენტირებული მომზადება. ამიტომ, პერსონალის განვითარება უნდა მოიცავდეს არა მხოლოდ თეორიულ ტრენინგს, არამედ სასწავლო შემთხვევებისა და სცენარების მომზადებას, პრაქტიკულ ფასილიტაციურ სავარჯიშოებს, თანატოლების დაკვირვებას და სტუდენტზე ორიენტირებული მეთოდების ფაქტობრივ განხორციელებაზე უკუკავშირს.

ადგილზე ვიზიტის დროს, ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა ბიოქიმიის, მიკრობიოლოგიის, ანატომია-ჰისტოლოგიისა და პათოლოგიის ლაბორატორიები და სიმულაციური საშუალებები. სპეციალიზებული სივრცეების, მიკროსკოპების, ანატომიური მოდელების, ჰისტოლოგიური და პათოლოგიური მასალების, ლაბორატორიული აღჭურვილობის, მანეკენებისა და სიმულაციური მოწყობილობების ხელმისაწვდომობა ლაბორატორიული, ვიზუალური, პრაქტიკული და სიმულაციაზე დაფუძნებული სწავლების საფუძველს ქმნის.

თუმცა, ადგილზე დათვალიერებული ლაბორატორიული აღჭურვილობისა და სასწავლო მასალების ნაწილი ჩანს რომ მოძველებულია. ექსპერტთა ჯგუფმა სრულად ვერ გადაამოწმა, ხელმისაწვდომი რესურსები ყოველთვის ემსახურება თუ არა ყველა ლაბორატორიულ აქტივობას და სასწავლო გეგმებში დოკუმენტირებულ თანამედროვე სწავლების მეთოდებს. ეს საკითხი აქტუალურია ამ კომპონენტისთვის, რადგან ლაბორატორიული და პრაქტიკაზე ორიენტირებული მეთოდების ეფექტური გამოყენება სტუდენტების საკმარის, ფუნქციონალურ და შესაბამის აღჭურვილობაზე წვდომაზეა დამოკიდებული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საექთნო საქმის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- საექთნო საქმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- საექთნო საქმის საგნის სამიზნე ნიშნულები;
- პროგრამის სწავლის შედეგებისა და კურსების შესაბამისობის აღწერის დოკუმენტები;
- საბაზისო, პრეკლინიკური, კლინიკური და კლინიკური პრაქტიკის კურსების სილაბუსები;
- ლაბორატორიების მუშაობაზე დაკვირვება;
- კლინიკური უნარებისა და სიმულაციური საშუალებებზე დაკვირვება;
- ინტერვიუები პროგრამის მენეჯმენტთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ხარისხის უზრუნველყოფის წარმომადგენლებთან და კლინიკური დაწესებულებების წარმომადგენლებთან.

[რეკომენდაციები]

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს საექთნო საქმის დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული სწავლებისა და სწავლის მინიმალური მეთოდების თანმიმდევრული გამოყენება, განსაკუთრებით სტრუქტურირებული CBL-ის, ექთანი–პაციენტის როლური თამაშის, სიმულაციაზე დაფუძნებული სწავლებისა და პაციენტის საწოლთან სწავლების მიმართულებით. რეკომენდებულია, შესაბამის სილაბუსებში მკაფიოდ განისაზღვროს თითოეულ მეთოდთან დაკავშირებული სწავლის შედეგები, სტუდენტთა აქტივობები, კლინიკური ან სიმულაციური გარემო, ფასილიტატორის პასუხისმგებლობები და მოსალოდნელი შედეგები.
- რეკომენდებულია, პროგრამულ დონეზე, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს და დანერგოს მეთოდოლოგიური ჩარჩო PBL-ის, CBL-ის, TBL-ის, CBCR-ის, შებრუნებული საკლასო ოთახის, სიმულაციის, როლური თამაშისა და პაციენტის საწოლთან სწავლებისათვის. რეკომენდებულია, ჩარჩომ განსაზღვროს თითოეული მეთოდის არსებითი ელემენტები და უზრუნველყოს სახელმძღვანელო მითითებები შესაბამისი სასწავლო კურსის ფარგლებში მათი დაგეგმვისა და განხორციელებისთვის.

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- სასურველია, პროგრამის გუნდმა გადახედოს სილაბუსებს, რათა უფრო მკაფიოდ გაიმიჯნოს სწავლების ისეთი ფორმატები, როგორიცაა ლექციები, სემინარები, ლაბორატორიული მეცადინეობები და კლინიკური პრაქტიკა, სწავლების ისეთი მეთოდებისგან, როგორიცაა CBL, PBL, TBL, სიმულაცია, როლური თამაში და პაციენტის საწოლთან სწავლება.
- სასურველია, პროგრამის ფარგლებში შემუშავდეს საექთნო საქმეზე ორიენტირებული შემთხვევების, კლინიკური სცენარების, ფასილიტატორის სახელმძღვანელოებისა და სტუდენტთა ინსტრუქციების ერთიანი ბაზა, რათა ხელი შეეწყოს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მეთოდების თანმიმდევრულ განხორციელებას.
- სასურველია, უნივერსიტეტმა ეტაპობრივად განაახლოს ბიოქიმიის, მიკრობიოლოგიის, ანატომია-ჰისტოლოგიისა და პათოლოგიის ლაბორატორიები და

არსებული აღჭურვილობა, სტუდენტთა სამუშაო სივრცეები, მასალები და ჯგუფების მოცულობა შეუსაბამოს დაგეგმილ ლაბორატორიულ აქტივობებსა და საექთნო საქმის დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებს.

- სასურველია, პროგრამამ უფრო მკაფიოდ განსაზღვროს, თუ როგორ ხდება სწავლების მეთოდების ადაპტირება საერთაშორისო სტუდენტებისა და დამატებითი საჭიროების მქონე სტუდენტების კულტურულ, ენობრივ და აკადემიურ საჭიროებებთან.
- სასურველია, პროგრამის გუნდმა სასწავლო გეგმის ფარგლებში გამოყენებული სწავლებისა და სწავლის მეთოდები მკაფიოდ დაუკავშიროს პროგრამის იმ მიზნებს, რომლებიც დაკავშირებულია კლინიკურ მსჯელობასთან, მტკიცებულებებზე დაფუძნებულ პრაქტიკასთან, ავტონომიასთან, ლიდერობასა და კულტურული თავისებურებების გათვალისწინებით, საექთნო ზრუნვასთან.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	ნაწილობრივ შესაბამისობაშია

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

გეომედის უნივერსიტეტში ადგილზე ვიზიტის დროს, ექსპერტთა ჯგუფმა საფუძვლიანად შეაფასა წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამისა და შეფასების სისტემის დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობა. ვინაიდან საექთნო საქმის საბაკალავრო პროგრამა განხორციელების ეტაპზეა, უნივერსიტეტს ამ მიმართულებით სტუდენტები ან კურსდამთავრებულები ჯერ არ ჰყავს. ამიტომ, ინტერვიუს პროცესში, სამედიცინო ფაკულტეტის მხოლოდ უცხოენოვანი სტუდენტები მონაწილეობდნენ.

სამედიცინო ფაკულტეტის გამოკითხულმა სტუდენტებმა არსებული ინსტიტუციური შეფასების პროცესები დაახასიათეს როგორც ზოგადად გამჭვირვალე და გასაგები. თუმცა, რადგან საექთნო საქმის პროგრამა ჯერ არ ხორციელდება, ეს მტკიცებულება არ არის საკმარისი, რომ დადასტურდეს საექთნო საქმის შეფასების სისტემის ეფექტურობა.

გარდა ამისა, სტუდენტები აქტიურად მონაწილეობენ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ორგანიზებულ გამოკითხვებში, რომლებიც აფასებენ როგორც სასწავლო კურსებს, ასევე, უნივერსიტეტში მიმდინარე ზოგად პროცესებს. უნდა აღინიშნოს, რომ

კითხვარები ინტეგრირებულია ელექტრონულ სისტემაში და სტუდენტები მათ სისტემაში შესვლისთანავე ავსებენ. გარდა ამისა, მეხუთე კვირაში ტარდება გამოკითხვა ზოგადი კმაყოფილების შესაფასებლად; გამოკითხვის შედეგების საფუძველზე, დაწესებულების მხრიდან განხილული მაგალითები ძირითადად ეხებოდა გამოცდის პროცესთან დაკავშირებული ხარვეზების გასწორებას, ასევე, რეკრეაციულ ზონასა და კაფეტერიაში განხორციელებულ ცვლილებებს.

უნივერსიტეტის აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა ინტერვიუების დროს დაადასტურა მზადყოფნა, გამოიყენოს კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასების ისეთი მეთოდები, როგორიცაა OSCE, OSPE, DOPS და WPBA. ფიზიკური სიმულაციური გარემო ქმნის აღნიშნული ტიპის შეფასების განხორციელების საფუძველს. უნივერსიტეტმა თავის არგუმენტირებულ პოზიციაში დამატებით განმარტა, რომ მას სამედიცინო განათლების საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში OSCE/OSPE-ის გამოყენების ინსტიტუციური გამოცდილება აქვს და ინტერვიუს დროს წარმოდგენილი იყო ცალკეული სასწავლო კურსის საკონტროლო სია. ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნულ განმარტებას იზიარებს. თუმცა, ხელმისაწვდომი მტკიცებულებები არ ადასტურებდა საექთნო საქმის პროგრამისთვის სპეციფიკური, სრულყოფილი OSCE/OSPE სისტემის არსებობას, რომელიც მოიცავს გამოცდის გეგმებს (blueprints), საექთნო საქმისთვის სპეციფიკური სადგურების სცენარების კოორდინირებულ ერთობლიობას, შეფასების სტანდარტიზებულ რუბრიკებს/საკონტროლო სიებს, სტუდენტებისა და გამომცდელებისთვის განკუთვნილ ინსტრუქციებს, შეფასების ადმინისტრირების პროცედურებს და გამომცდელთა კალიბრაციას/ტრენინგს. შესაბამისად, სრულად ვერ დადასტურდა საექთნო საქმის პროგრამისთვის დაგეგმილი OSCE/OSPE შეფასების სისტემის პრაქტიკული მზადყოფნა, სანდოობა და ვალიდობა.

ინტერვიუების შედეგად დადასტურდა, რომ სტუდენტებს აქვთ შეფასების შედეგების გასაჩივრების უფლება. უნივერსიტეტმა თავის არგუმენტირებულ პოზიციაში განმარტა, რომ სასწავლო კურსის განმახორციელებელი მონაწილეობს მხოლოდ ტექნიკური გადამოწმების პროცესში, ხოლო შინაარსობრივ საკითხებს განიხილავენ დეკანი, პროგრამის ხელმძღვანელი და შესაბამისი სასწავლო კურსის სხვა განმახორციელებელი. მიღებული გადაწყვეტილება აისახება ოქმში და ეცნობება სტუდენტს. ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნულ განმარტებას ითვალისწინებს. თუმცა, წარმოდგენილი დოკუმენტაცია მკაფიოდ არ ადასტურებდა ტექნიკურ გადამოწმებასა და შინაარსობრივ ხელახალ შეფასებას შორის ფორმალურად განსაზღვრული განსხვავების არსებობას და არც იმას უზრუნველყოფდა, რომ შინაარსობრივი განხილვა პირველადი შეფასების გადაწყვეტილებისგან დამოუკიდებლად განხორციელებულიყო, განსაკუთრებით ზეპირი, პრაქტიკული და OSCE/OSPE შეფასებების შემთხვევაში. შესაბამისად, აუცილებელია გასაჩივრების პროცესში მიუკერძოებლობისა და ობიექტურობის უზრუნველსაყოფად არსებული ფორმალური მექანიზმების გაძლიერება.

სასწავლო დაწესებულება აკადემიურ კეთილსინდისიერებას და პლაგიატის პრევენციას Copyleaks პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით ახდენს. მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტს არ ჰყავს მუდმივი ეთიკის კომიტეტი, მოქმედებს ეთიკის კოდექსი და საჭიროების შემთხვევაში, იქმნება შესაბამისი კომიტეტი. თუმცა, პლაგიატის პრევენციის მექანიზმების არსებობის მიუხედავად, გამოკითხული სტუდენტების დაახლოებით 80%-მა არ

იცოდა ამ პროცედურების შესახებ, რაც სტუდენტების ცნობიერების ამაღლებისა და ინფორმაციის გავრცელების გაუმჯობესების აუცილებლობაზე მიუთითებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

o საექთნო საქმის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
o საექთნო საქმის საბაკალავრის საგანმანათლებლო პროგრამა;
o საექთნო საქმის საგნის სამიზნე ნიშნულის დებულება;
o საგანმანათლებლო პროცესის მარეგულირებელი ინსტიტუციური რეგულაცია;
o კურსის სილაბუსები;
o შეფასების მონაცემთა ანალიზის მეთოდოლოგია;
o სიმულაციის და შემოთავაზებული OSCE ობიექტებზე დაკვირვება;
o ინტერვიუები პროგრამის მენეჯმენტთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ხარისხის უზრუნველყოფის წარმომადგენლებთან, ადმინისტრაციასთან და სტუდენტებთან.

რეკომენდაციები

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გააერთიანოს, ოფიციალურად განსაზღვროს და დანერგოს საექთნო საქმის საგანმანათლებლო პროგრამისთვის განკუთვნილი ყოვლისმომცველი OSCE/OSPE-ის ჩარჩო, რომელიც მოიცავს გამოცდის სტრუქტურას, საექთნო საქმის სპეციფიკურ სადგურების სცენარებს, შეფასების სტანდარტიზებულ რუბრიკებს/ჩეკლისტებს, სტუდენტებისა და გამომცდელებისთვის განკუთვნილ ინსტრუქციებს, ადმინისტრირების პროცედურებს და გამომცდელთა მომზადებას ერთიანი სტანდარტის შესაბამისად.
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს, რომ გასაჩივრების პროცედურა ოფიციალურად განასხვავებდეს ტექნიკურ გადამოწმებას შინაარსობრივი გადაფასებისგან და ითვალისწინებდეს, რომ სადავო შეფასების შინაარსობრივი გადახედვა განხორციელდეს დამოუკიდებელი შემფასებლის ან ორგანოს მიერ, რომელიც არ არის პასუხისმგებელი თავდაპირველ შეფასებაზე.

.რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, უნივერსიტეტმა, პროგრამის დაწყებისთანავე, უზრუნველყოს საექთნო საქმის სტუდენტების სისტემატური ინფორმირება აკადემიური კეთილსინდისიერების, პლაგიატის პრევენციის მექანიზმებისა და Copyleaks-ის პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენების შესახებ.
- სასურველია, პროგრამამ განსაზღვროს შეფასების ის ძირითადი ეტაპები, რომლითაც, პროგრამის დასრულებამდე, ფორმალურად მოწმდება პროგრამის სწავლის შედეგები,

რომლებიც დაკავშირებულია კლინიკურ მსჯელობასთან, ავტონომიასთან, პროფესიონალიზმთან, ლიდერობასა და პაციენტზე ორიენტირებულ ზრუნვასთან.

- სასურველია, პაციენტისა და ოჯახის ინფორმირების კომპეტენციების შეფასება ითვალისწინებდეს შესრულებაზე ან სამუშაო ადგილზე დაფუძნებულ პირდაპირ შეფასებას, შესაბამის სიმულაციურ ან კლინიკურ გარემოში.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
2.4 სტუდენტების შეფასება	ნაწილობრივ შესაბამისობაშია

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტური მხარდაჭერის სისტემა, რომელიც როგორც უნივერსიტეტის ცხოვრებაში, ასევე, აკადემიურ პროცესებში სტუდენტების ჩართულობას უზრუნველყოფს. სტუდენტები წარმოდგენილი არიან უნივერსიტეტის მმართველ ორგანოებში (ფაკულტეტის საბჭო და მმართველი საბჭო), ასევე, სტუდენტურ თვითმმართველობაში, სადაც ისინი პროგრამების შემუშავებასა და სხვადასხვა აქტივობის დაგეგმვაში მონაწილეობენ. სტუდენტური თვითმმართველობის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საერთაშორისო სტუდენტების საუნივერსიტეტო გარემოსა და ქართველ სტუდენტებთან ინტეგრაციაში. ინფორმაციის მიწოდებისა და კომუნიკაციისთვის, უნივერსიტეტი იყენებს Google Classroom პლატფორმას

და Gmail-ს, რომლის მეშვეობითაც სტუდენტებს აქვთ წვდომა განცხადებებზე (ანონსებზე) და პირდაპირი კომუნიკაცია აკადემიურ პერსონალთან. აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალი გამოხატავს მუდმივ მზადყოფნას, გაუწიოს კონსულტაცია და მხარდაჭერა სტუდენტებს სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და მათი აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაში და აქტიურად მონაწილეობს მათთან ერთად სამეცნიერო საქმიანობაში. გარდა ამისა, სტუდენტებს მიეწოდებათ ინფორმაცია და უტარდებათ კონსულტაციები კარიერული განვითარებისა და დასაქმების შესაძლებლობების შესახებ. უნივერსიტეტი აწყობს ყოველწლიურ სამეცნიერო კონფერენციებს და გამოსცემს საკუთარ სამეცნიერო ჟურნალს, სადაც კვლევითი სტატიები ქვეყნდება. სტუდენტები ინფორმირებული არიან ადგილობრივი სემინარებისა და საქველმოქმედო აქტივობების შესახებ (მაგალითად, გულ-სისხლძარღვთა თემებზე სემინარებში მონაწილეობა). საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში გაფორმდა მემორანდუმები უცხოურ პარტნიორ დაწესებულებებთან (მათ შორის SGS საავადმყოფოსთან და *სუბჰარტის უნივერსიტეტთან*, ინდოეთი) და სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ Erasmus+ პროექტებში. თუმცა, ბოლო სამ წელთან დაკავშირებით წარმოდგენილი მონაცემების ანალიზმა აჩვენა, რომ სამედიცინო ფაკულტეტიდან საერთაშორისო მობილობაში მხოლოდ 10 სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა (7 სტუდენტი ინდოეთში, 2 ნიდერლანდებში და 1 რუმინეთში Erasmus+-ის მეშვეობით), რაც სამწლიანი პერიოდისთვის დაბალი მაჩვენებელია და სტუდენტთა საერთაშორისო მობილობის ხელშეწყობისა და მხარდაჭერის გაძლიერების აუცილებლობაზე მიუთითებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

o თვითშეფასების ანგარიში.

o ინტერვიუ სტუდენტებთან.

o ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან.

o ინტერვიუ უნივერსიტეტის პერსონალთან.

[რეკომენდაციები](#)

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის](#)

- სასურველია, გაფართოვდეს პარტნიორობა ევროპულ უნივერსიტეტებთან და კლინიკურ დაწესებულებებთან (განსაკუთრებით, მედიცინისა და საექთნო საქმის მიმართულებებით) და, ამავდროულად, გაძლიერდეს სტუდენტთა ინფორმირება და კონსულტირება საერთაშორისო საგრანტო და გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობებთან დაკავშირებით.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
3.1_სტუდენტების შეფასება	შესაბამისობაშია

3.2 მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებს.
- სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მაგისტრანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები	
სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	
მაგისტრანტების რაოდენობა	
თანაფარდობა - სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელები/მაგისტრანტები	

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
3.2_მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა	აირჩიეთ შესაბამისი

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

წარმოდგენილი საშტატო დოკუმენტაციის, პერსონალის საქმეებისა და ინტერვიუების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფი ასკვნის, რომ პროგრამას იმპლემენტაციისთვის ადამიანური რესურსების ფართო ბაზა გააჩნია, მათ შორის 22 აფილირებული აკადემიური პერსონალი და 25 მოწვეული ლექტორი შესაბამისი აკადემიური და პროფესიული პროფილით. პროგრამის დირექტორს აქვს სათანადო აკადემიური და პროფესიული გამოცდილება, აგრეთვე, ხელმისაწვდომია ადმინისტრაციული და დამხმარე ფუნქციები. შესაბამისად, საშტატო სტრუქტურა პროგრამის განხორციელების გონივრულ საფუძველს ქმნის.

წარმოდგენილი საშტატო დოკუმენტაციის, პერსონალის საქმეებისა და ინტერვიუების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამას შესაბამისი კლინიკური და უმაღლესი განათლების გამოცდილების მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალი ჰყავს. ამავდროულად, პროგრამაში ჩართული პერსონალის მნიშვნელოვან ნაწილს ძირითადად სამედიცინო საგანმანათლებლო და პროფესიული გამოცდილება აქვს. წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ აჩვენებს მათ სრულ მზადყოფნას, ასწავლონ ბაკალავრიატის დონეზე მოთხოვნილი საექთნო საქმის სპეციფიკური კომპეტენციები. ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ პერსონალს შესაბამისი ტრენინგი გავლილი ჰქონდა; თუმცა, დამადასტურებელი დოკუმენტაცია, მათ შორის სერტიფიკატები, გადამოწმების მიზნით, ხელმისაწვდომი არ იყო.

კლინიკურ გარემოში მოხვედრამდე, სტუდენტებმა ლექციების, სემინარებისა და ლაბორატორიული სწავლების გზით უნდა განავითარონ ცოდნა და უნარები, რომლებიც დაკავშირებულია საექთნო საქმის პროცესთან, ექთნობის შეფასებასთან, მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღებასთან, საექთნო დიაგნოსტიკასთან და პაციენტის მოვლის დაგეგმვასთან. კლინიკურმა პრაქტიკამ არა მხოლოდ კლინიკური პროცედურების შესრულებას უნდა შეუწყოს ხელი, არამედ კლინიკური განსჯის, კრიტიკული აზროვნებისა და საექთნო გადაწყვეტილებების მიღების განვითარებასაც.
ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ადამიანური რესურსების საერთო ბაზა ზოგადად ადეკვატურია; თუმცა, საჭიროა, თეორიულ და კლინიკურ სწავლებაში ჩართულ პერსონალში საექთნო საქმის სპეციფიკური კომპეტენციების შემდგომი გაძლიერება, პროფესიული განვითარების შესაბამის დოკუმენტაციასთან ერთად.

სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	**ნაშრომების ხელმძღვანელები**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები**	**მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი**
სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	**22**	**22**	**22**
- პროფესორი	5	5	5
- ასოცირებული პროფესორი	10	10	10
- ასისტენტ-პროფესორი	4	4	4
- ასისტენტი	3	3	3
მოწვეული პერსონალი	23	11	
სამეცნიერო პერსონალი	5		_

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან ინტერვიუები;
- პერსონალის პირადი საქმეები;

- საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული აკადემიური/მოწვეული პერსონალის სია;
- პროგრამის აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია;

[რეკომენდაციები]

- რეკომენდებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს თეორიულ, ლაბორატორიულ და კლინიკურ სწავლებაში ჩართული პერსონალის პროფესიული განვითარება არა მხოლოდ სწავლებისა და შეფასების მეთოდების მიმართულებით, არამედ საექთნო პროცესის, საექთნო შეფასების, კლინიკური მსჯელობის, საექთნო დიაგნოზებისა და საექთნო მზრუნველობის გეგმების შემუშავების მიმართულებითაც და უზრუნველყოს ასეთი ტრენინგების სათანადო დოკუმენტირება.

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- სასურველია, პროგრამამ დანერგოს კლინიკური პერსონალის შესაძლებლობების რეგულარული შეფასება სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობის, კლინიკური სწავლების საათებისა და კლინიკური პრაქტიკის გავლის მოთხოვნებთან მიმართებით და შეფასების შედეგები გაითვალისწინოს პროგრამის ყოველწლიურ დაგეგმვაში.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
4.1 ადამიანური რესურსი	ნაწილობრივ შესაბამისობაშია

4.2 მაგისტრანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და

შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	**ნაშრომების ხელმძღვანელები**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები**	**მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი**
სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა			
- პროფესორი			
- ასოცირებული პროფესორი			
- ასისტენტ-პროფესორი			
მოწვეული პერსონალი			–
სამეცნიერო პერსონალი			–

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

[რეკომენდაციები]

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
[4.2 მაგისტრანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია]	აირჩიეთ შესაბამისი

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ უნივერსიტეტს აქვს აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების, პროფესიული განვითარების საჭიროებების იდენტიფიცირებისა და სასწავლო და კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის მექანიზმები.

ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ პერსონალმა 2024-2026 წლებში მონაწილეობა მიიღო პროფესიული განვითარების აქტივობებში, მათ შორის თანამედროვე სწავლებაში, კლინიკურ სწავლებასა და კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასების მეთოდებში, როგორიცაა PBL, CBL, TBL, სიმულაცია, OSCE, OSPE, Mini-CEX, WPBA და DOPS. თუმცა, წარმოდგენილი დოკუმენტაცია ექსპერტთა ჯგუფს არ აძლევდა საშუალებას, გადაემოწმებინა, ვინ მონაწილეობდა ამ აქტივობებში ან გაიარა თუ არა ტრენინგი სპეციალურად საექთნო საქმის პროგრამაში ჩართულმა პერსონალმა.

ვინაიდან პედაგოგიური პერსონალის მნიშვნელოვან ნაწილს აქვს სამედიცინო და არა საექთნო საქმის პროფესიული გამოცდილება, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ექთნების განათლების მიზანმიმართული მომზადება. პროგრამაში ჩართულ პერსონალს უნდა შეეძლოს საბაკალავრო დონის საექთნო საქმისთვის სპეციფიკური კომპეტენციების განვითარების მხარდაჭერა, მათ შორის ექთნების პროცესი, ექთნების შეფასება, კლინიკური მსჯელობა, საექთნო დიაგნოსტიკა და პაციენტის მოვლის დაგეგმვა. დოკუმენტაციიდან საკმარისად არ დასტურდება ამ სფეროებში სისტემატური და სერტიფიცირებული პროფესიული გამოცდილება.

შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ თუმცა პროფესიული განვითარების სისტემა არსებობს, საექთნო საქმის პროგრამის დონეზე პერსონალის მზადყოფნა შემდგომ გაძლიერებას საჭიროებს. თეორიულ და კლინიკურ სწავლებაში სათანადოდ კვალიფიციური და კომპეტენტური საექთნო საქმის სპეციალისტების უფრო მეტი ჩართულობა ასევე ხელს შეუწყობს პროგრამის სპეციფიური სწავლის შედეგების თანმიმდევრულ მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

o თვითშეფასების ანგარიში (SER)

o ინტერვიუები

o პერსონალის რეზიუმეები

o ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა

o დაგეგმილი პროფესიული განვითარების აქტივობები

o მონაცემთა შეფასების ანალიზის მეთოდოლოგია

o სწავლების ხარისხის შეფასების შიდა და გარე მექანიზმები

[რეკომენდაციები](#)

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა სისტემატურად უზრუნველყოს, მონიტორინგი გაუწიოს და დოკუმენტურად აღრიცხოს პროგრამაში ჩართული პერსონალის პროფესიული განვითარება საექთნო საქმის მიმართულებით- მათ შორის საექთნო პროცესის, საექთნო შეფასების, კლინიკური მსჯელობის, საექთნო დიაგნოზებისა და მოვლის დაგეგმვის მიმართულებით მომზადება; განსაკუთრებით იმ პერსონალის შემთხვევაში, რომლის ძირითადი პროფესიული მიმართულება - მედიცინაა. რეკომენდებულია, პროგრამის თეორიულ და კლინიკურ განხორციელებაში სათანადოდ ჩართული იყოს შესაბამისი კვალიფიკაციისა და კომპეტენციის მქონე საექთნო საქმის პროფესიონალთა საკმარისი რაოდენობა.

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის](#)

- სასურველია, უნივერსიტეტმა კიდევ უფრო გააძლიეროს პერსონალის პროფესიული განვითარების საერთაშორისო კომპონენტი - საექთნო განათლების საერთაშორისო ქსელებში, ტრენინგებსა და გამოცდილების გაზიარების ღონისძიებებში მონაწილეობით.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	მეტწილად შესაბამისობაშია

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ექსპერტთა ჯგუფმა დაადასტურა, რომ არსებობს პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ძირითადი ინფრასტრუქტურა, მათ შორის აუდიტორიები, სალექციო დარბაზები, ლაბორატორიები, სიმულაციური საშუალებები, ანატომიური სასწავლო რესურსები, კომპიუტერული საგამოცდო ცენტრი, ბიბლიოთეკა და ელექტრონული სასწავლო რესურსები. სიმულაციური ცენტრი აღჭურვილია მანეკენებითა და ვირტუალური რეალობის ტექნოლოგიებით, ხოლო ფუნდამენტალური მეცნიერებების ლაბორატორიები დაგეგმილი სასწავლო აქტივობებისთვის შესაბამის საფუძველს ქმნის.
თუმცა, კლინიკური შეფასების ინფრასტრუქტურის ოპერატიული მზადყოფნა სრულად არ დადასტურდა. მიუხედავად იმისა, რომ შესაბამისი სიმულაციური აღჭურვილობა ხელმისაწვდომია, ექსპერტთა ჯგუფმა ვერ იხილა OSCE/OSPE-ს სპეციალურად გამოყოფილი საგამოცდო სივრცე ორგანიზებული სადგურებით, გამოცდების ადმინისტრირებისა და ზედამხედველობის მექანიზმებით.
პროგრამას აქვს შეთანხმებები პარტნიორ კლინიკურ დაწესებულებებთან, მათ შორის, ქალაქ რუსთავის ცენტრალურ საავადმყოფოსთან. ეს შეთანხმებები კლინიკური სწავლების საფუძველია, თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტაცია ექსპერტთა ჯგუფს არ აძლევს საშუალებას გადაამოწმოს, საკმარისია თუ არა არსებული განყოფილებები, სტუდენტების ადგილები და განრიგის შედგენა პროგრამაზე მისაღები სტუდენტების დაგეგმილი რაოდენობისა და საჭირო კლინიკური საათების გათვალისწინებით.
ინტერვიუების დროს კლინიკური სწავლებისა და შეფასების ორგანიზებასთან დაკავშირებით დამატებითი გაურკვევლობა გამოიკვეთა. საკმარისად ნათელი არ იყო, თუ როგორ არიან სტუდენტები განაწილებული კლინიკურ გარემოში, რა პასუხისმგებლობები აქვთ ექიმებს კლინიკური უნარების სწავლებასა და შეფასებაში, ან მუდმივად რატომ არ მონაწილეობენ სტუდენტების შეფასებაში კლინიკურ სწავლებაში უშუალოდ ჩართული ექთნები.

ექსპერტთა ჯგუფი არსებულ მატერიალურ და ინფრასტრუქტურულ ბაზას საკმარისად მიიჩნევს, თუმცა აღნიშნავს, რომ კლინიკური პრაქტიკისა და კლინიკური შეფასების შესაძლებლობები და მექანიზმები უფრო მკაფიო მტკიცებულებებსა და ორგანიზებას მოითხოვს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

o კლინიკური პრაქტიკის გარემოზე დაკვირვება

o აკადემიური ინფრასტრუქტურა

o პარტნიორ საავადმყოფოებთან ურთიერთგაგების მემორანდუმები

[რეკომენდაციები]

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა დაადასტუროს, რომ პარტნიორი კლინიკური დაწესებულებების შესაძლებლობები, მათ შორის ხელმისაწვდომი განყოფილებები, სტუდენტებისთვის განსაზღვრული ადგილები და განრიგის დაგეგმვის პირობები, საკმარისია სტუდენტთა დაგეგმილი კონტიგენტისთვის და რომ ყველა სტუდენტს ექნება შესაძლებლობა გაიაროს სავალდებულო კლინიკური მომზადება.
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა სრულყოფილად დანერგოს OSCE/OSPE-ის ინფრასტრუქტურა და საოპერაციო მექანიზმები, მათ შორის უზრუნველყოს საგამოცდო სადგურები, აღჭურვილობა, ადმინისტრირება და ზედამხედველობა.
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა მკაფიოდ განსაზღვროს ექიმებისა და ექთნების როლები და პასუხისმგებლობები კლინიკურ სწავლებასა და შეფასებაში და უზრუნველყოს კვალიფიციური საექთნო პერსონალის სათანადო ჩართულობა საექთნო კომპეტენციების შეფასებაში.

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
[4.4. მატერიალური რესურსი]	მეტწილად შესაბამისობაშია

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა საექთნო საქმის საბაკალავრო პროგრამის ფინანსური მდგრადობა თვითშეფასების ანგარიშის, სამედიცინო ფაკულტეტის 2026 წლის ბიუჯეტისა და უნივერსიტეტის მენეჯმენტთან და პროგრამის წარმომადგენლებთან ინტერვიუების საფუძველზე. უნივერსიტეტმა წარმოადგინა სამედიცინო ფაკულტეტის დამტკიცებული 2026 წლის ბიუჯეტი. პროგნოზირებული შემოსავალი 12,630,297 ლარია, რომელიც სწავლის საფასურიდან მიიღება, ხოლო დაგეგმილი ხარჯები 11,114,661 ლარს შეადგენს. ბიუჯეტი ასევე მოიცავს 1,515,636 ლარს დაგეგმილ დანაზოგებს და ფინანსურ რეზერვებში. ბიუჯეტი მოიცავს აკადემიური და მოწვეული პერსონალის, საგანმანათლებლო პროცესის, პროფესიული პრაქტიკის, სასწავლო მასალების, ლაბორატორიებისა და პრაქტიკული ცენტრების, აღჭურვილობის, საბიბლიოთეკო რესურსების, პერსონალის განვითარების, სტუდენტური აქტივობებისა და კაპიტალური ხარჯების დაფინანსებას. ეს აჩვენებს, რომ ფაკულტეტს საგანმანათლებლო საქმიანობის მხარდასაჭერად ზოგადი ფინანსური შესაძლებლობები გააჩნია.

ინტერვიუს დროს რექტორმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტი გააგრძელებს საექთნო საქმის საბაკალავრო პროგრამის მხარდაჭერას, მაშინაც კი, თუ იგი საწყის პერიოდში ფინანსურად თვითკმარი არ იქნება. უნივერსიტეტმა მიუთითა, რომ, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია ერთსაფეხურიანი მედიცინის პროგრამიდან რესურსების საექთნო საქმის პროგრამის მხარდასაჭერად გამოყენება.

ექსპერტთა ჯგუფი ითვალისწინებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას, რომლის თანახმად, აკრედიტაციის კრიტერიუმი ფინანსური დაგეგმვის განხორციელებას პროგრამის, ფაკულტეტის ან სკოლის დონეზე დასაშვებად მიიჩნევს და, შესაბამისად, არ მოითხოვს საექთნო საქმის პროგრამისთვის ცალკე, დამოუკიდებელი ბიუჯეტის არსებობას. მიუხედავად ამისა, წარმოდგენილი ფაკულტეტის ბიუჯეტი მკაფიოდ არ განსაზღვრავს საექთნო საქმის საბაკალავრო პროგრამისთვის გამოყოფილ ფინანსურ რესურსებს და არ წარმოაჩენს, არის თუ არა სრულად გაანგარიშებული პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა მიმდინარე და ერთჯერადი ხარჯი. კერძოდ, დოკუმენტაციაში მკაფიოდ არ არის განსაზღვრული საექთნო საქმისთვის სპეციფიკური აკადემიური და კლინიკური პერსონალის სავარაუდო ხარჯები; კლინიკური ზედამხედველობისა და კლინიკური პრაქტიკის გავლის ხარჯები; სიმულაციური სწავლებისა და ლაბორატორიული სახარჯი მასალების ხარჯები; საექთნო აღჭურვილობისა და მისი მოვლა-შენახვის ხარჯები; OSCE/OSPE-ის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები; პერსონალის ტრენინგის ხარჯები; ასევე, საექთნო საქმისთვის სპეციფიკური საბიბლიოთეკო და ელექტრონული რესურსების ხარჯები.

ფაკულტეტის ბიუჯეტი აღნიშნული მიმართულებებისთვის ზოგად დაფინანსებას ითვალისწინებს, თუმცა მკაფიოდ არ არის ნაჩვენები კავშირი ამ დაფინანსებასა და საექთნო საქმის პროგრამაზე დაგეგმილი სტუდენტების მიღების რაოდენობას, სასწავლო გეგმას, კლინიკური სწავლების საათების რაოდენობას, ჯგუფების ზომასა და პროგრამის კონკრეტულ საჭიროებებს შორის. უნივერსიტეტის მიერ საექთნო საქმის პროგრამის მხარდაჭერის, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, ჯვარედინი სუბსიდირების გზით დაფინანსების მზადყოფნა დადებითად უნდა შეფასდეს. თუმცა, წარმოდგენილ ფინანსური დაგეგმვის დოკუმენტებში მკაფიოდ არ იყო დოკუმენტირებული ასეთი მიმდინარე ან ერთჯერადი დაფინანსების შესაბამისი წყარო და საფუძველი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- სამედიცინო ფაკულტეტის 2026 წლის ბიუჯეტი;
- რექტორთან, პროგრამის მენეჯმენტთან და ადმინისტრაციულ წარმომადგენლებთან ინტერვიუები;

[რეკომენდაციები](#)

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა საექთნო საქმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის გამოყოფილი ფინანსური რესურსები მკაფიოდ ასახოს და დაასაბუთოს პროგრამის, ფაკულტეტის ან ინსტიტუციური ფინანსური დაგეგმვის ფარგლებში და ოფიციალურად წარმოადგინოს მტკიცებულება, რომ აღნიშნული რესურსები ადეკვატურად ფარავს პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო როგორც განმეორებად, ისე ერთჯერად ხარჯებს, მათ შორის პერსონალის, კლინიკური სწავლების, სიმულაციური სწავლების, ლაბორატორიების, აღჭურვილობის, შეფასებისა და პერსონალის განვითარების ხარჯებს.
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა ოფიციალურად დაასაბუთოს, დოკუმენტურად ასახოს საექთნო საქმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის ხელმისაწვდომი ფინანსური მხარდაჭერის წყაროები და მექანიზმები, მათ შორის განმეორებადი და ერთჯერადი ფინანსური მხარდაჭერა. იმ შემთხვევაში, თუ გათვალისწინებულია ფაკულტეტის ან უნივერსიტეტის სხვა ინსტიტუციური რესურსებიდან პროგრამის ჯვარედინი სუბსიდირება, შესაბამისი წყარო და აღნიშნული მხარდაჭერის საფუძველი მკაფიოდ უნდა აისახოს ფინანსური დაგეგმვის დოკუმენტაციაში.

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის](#)

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
[4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა](#)	ნაწილობრივ შესაბამისობაშია

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტს აქვს დამკვიდრებული შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც PDCA ციკლზე და წლიურ ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმაზეა დაფუძნებული. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თანამშრომლობს პროგრამის პერსონალთან შეფასების აქტივობების დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების, შედეგების ანალიზისა და გაუმჯობესების სფეროების იდენტიფიცირების მიმართულებით. ამ პროცესში სტუდენტებისა და პერსონალის გამოკითხვები, პროგრამის შეფასებები და სხვა შიდა მიმოხილვის მექანიზმები გამოიყენება.
ადგილზე ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა შეფასების ინსტრუმენტებისა და შედეგების მაგალითები და დაადასტურა, რომ დასკვნები აკადემიურ პერსონალს ეცნობება და პროფესიული განვითარების აქტივობებისა და ხარისხის გაუმჯობესების სხვა ზომების ინფორმირებისთვის იქნება გამოყენებული. რადგან საექთნო საქმის პროგრამა ჯერ არ დაწყებულა, პროგრამის სპეციფიკური მტკიცებულებები, როგორიცაა სტუდენტების მიღწევები, კურსდამთავრებულთა უკუკავშირი და მონაცემები დამსაქმებლისგან, ჯერ არ არის ხელმისაწვდომი.
პროგრამის დოკუმენტაციის შესწავლისას გამოვლინდა ის მიმართულებები, რომლებიც, შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, საჭიროებენ მონიტორინგს. ზოგიერთ სასწავლო გეგმაში სწავლების მეთოდებს, შეფასების მეთოდებსა და სწავლის შედეგებს შორის თანხვედრა მკაფიო არ იყო. ასევე, მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის შემუშავებაში დაინტერესებული მხარეები იყვნენ ჩართული, ინტერვიუების დროს გამოვლინდა, რომ ზოგიერთი დამსაქმებელი ნაკლებად იცნობდა პროგრამის მიზნებს, სწავლის შედეგებს და სასწავლო გეგმას. ეს მიუთითებს პროგრამის შეფასებასა და შემუშავებაში დაინტერესებული მხარეების უფრო სისტემატური და დოკუმენტირებული ჩართულობის საჭიროებაზე.

შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ინსტიტუციური ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩო ჩამოყალიბებულია და ფუნქციონირებს, თუმცა პროგრამულ დონეზე მისი გამოყენება მეტად უნდა გაძლიერდეს - პროგრამის დოკუმენტაციის უფრო თანმიმდევრული განხილვის, დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გამოყენების, გაუმჯობესების მიზნით დაგეგმილი

აქტივობების მკაფიო დოკუმენტირებისა და PDCA ციკლის ფარგლებში, შემდგომი ქმედებების განხორციელების გზით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- გამოკითხვის შედეგები
- ინტერვიუს შედეგები
- ხარისხის უზრუნველყოფის რეგულაციები
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და შემუშავების წესები
- დაინტერესებული მხარეების პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობის მტკიცებულება

[რეკომენდაციები](#)

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გააძლიეროს პროგრამისა და სასწავლო კურსების დოკუმენტაციის შიდა განხილვის პროცესი, რათა უზრუნველყოს მკაფიო შესაბამისობა სწავლების მეთოდებს, შეფასების მეთოდებსა და სწავლის შედეგებს შორის.
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს დამსაქმებლებისა და სხვა შესაბამისი დაინტერესებული მხარეების სისტემატური და დოკუმენტირებული ჩართულობა პროგრამის შეფასებასა და განვითარებაში, მათ შორის წარმოადგინოს მტკიცებულება, თუ როგორ გამოიყენება მათი უკუკავშირი პროგრამასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას.
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა სისტემატურად აღრიცხოს გამოვლენილი ხარვეზები, გაუმჯობესების ღონისძიებები და შემდგომი მონიტორინგის შედეგები PDCA ციკლის ფარგლებში, რათა დადასტურდეს პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის ეფექტიანობა.

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის](#)

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
[5.1. შიდა ხარისხის შეფასება](#)	მეტწილად შესაბამისობაშია

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ექსპერტთა ჯგუფი ადასტურებს, რომ უნივერსიტეტი ჩართულია გარე ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში, რაც პროგრამის შემუშავების საწყისი ეტაპია. ინგლისურენოვანი საექთნო საქმის საბაკალავრო პროგრამა შეფასდა საექთნო საქმის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ იოჰანეს გრესკეს მიერ. შეფასების შედეგად მიღებული რეკომენდაციები გათვალისწინებულ იქნა პროგრამის შემდგომი განვითარებისას.
მტკიცებულებები მიუთითებს, რომ გარე შეფასების შედეგად, პროგრამაში განხორციელდა ცვლილებები. ეს აჩვენებს, რომ უნივერსიტეტი გარე შეფასებას მხოლოდ შესაბამისობის შემოწმებად კი არ განიხილავს, არამედ გარე ექსპერტების უკუკავშირს იყენებს პროგრამის გასაუმჯობესებლად. ამავდროულად, რადგან საექთნო საქმის პროგრამა ახლადშექმნილია, ექსპერტთა ჯგუფმა ჯერ ვერ შეძლო გარე შეფასების განმეორებითი ციკლისა და პროგრამის შედეგების საფუძველზე დაგეგმილი შემდგომი ღონისძიებების შეფასება.

ხელმისაწვდომი მტკიცებულებების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ დანერგილია გარე ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი და რომ მისი შედეგები გამოიყენება პროგრამის განვითარებისთვის; თუმცა, პროგრამა ჯერ განხორციელების წინა ეტაპზეა და არ არსებობს პროგრამის კონკრეტული მონაცემები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში (SER)
- ადგილზე ვიზიტის შედეგები
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, სამომავლო გარე შეფასებები და ექსპერტთა რეკომენდაციები სისტემატურად აღირიცხოს განხორციელებულ ღონისძიებებთან, პასუხისმგებელ ერთეულებთან და შემდგომი მონიტორინგის შედეგებთან ერთად, რითაც გაძლიერდება გარე ხარისხის უზრუნველყოფის გაუმჯობესების ციკლის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებები.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
5.2. გარე ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტმა შეიმუშავა პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული მიმოხილვის მექანიზმები, რომლებიც სტუდენტებისა და პერსონალის უკუკავშირის, პროგრამისა და კურსის შეფასებების, შეფასების მონაცემების, ადმინისტრაციული და დამხმარე სერვისების უკუკავშირის, საბიბლიოთეკო რესურსების საჭიროებების და დამსაქმებლის შენიშვნების სისტემატურ შეგროვებასა და ანალიზზე არის დაფუძნებული. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აანალიზებს შესაბამის ინფორმაციას და შემდგომი ქმედებებისთვის, აწვდის დასკვნებს პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულებს.
არსებობს ინსტიტუციური პროცედურები პროგრამის გადახედვის, განახლების და უწყვეტი გაუმჯობესების მიზნით. სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები და სხვა დაინტერესებული მხარეები ჩართული არიან მონიტორინგის პროცესში. თუმცა, რადგან საექთნო საქმის პროგრამა ჯერ არ დაწყებულა, მონაცემები სტუდენტების მოსწრების, კლინიკური პრაქტიკის შედეგების, კურსდამთავრებულთა მუშაობისა და დამსაქმებლის უკუკავშირის შესახებ არ არის ხელმისაწვდომი.
შეფასებისას გამოვლენილი პრობლემების გათვალისწინებით, სამომავლო მონიტორინგისას, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კლინიკური პრაქტიკის ხარისხსა და შესაძლებლობებს, საექთნო საქმისთვის სპეციფიკური კომპეტენციების მიღწევას, კლინიკური სწავლებისა და შეფასების ეფექტურობას და საექთნო განათლებისთვის პერსონალის მომზადების ადეკვატურობას.

ამიტომ, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ უნივერსიტეტს გააჩნია პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული მიმოხილვის ჩარჩო. პროგრამულ დონეზე, მისი ეფექტურობა გამოჩნდება მას შემდეგ, რაც საექთნო საქმის პროგრამის კონკრეტული მონაცემები ხელმისაწვდომი გახდება და მოხდება მისი სისტემატური გამოყენება პროგრამის გაუმჯობესების მიზნით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- გამოკითხვის შედეგები
- ინტერვიუს შედეგები
- უნივერსიტეტის შიდა რეგულაციები
- მონაცემთა შეფასების ანალიზის მეთოდოლოგია

[რეკომენდაციები]

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	შესაბამისობაშია